პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 61 (11065) | პარასკევი, 14 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიმდინარე წლის 13 მარტს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი — „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების განხორციელების დარგში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

ფხიზლად ვიდგეთ სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე

საბჭოთა კავშირი მშრომელების სახელმწიფოა. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება მუშებისა და გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის, საბჭოთა ხალხების ინტერესების შესაბამისად. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა შთაგონებულია ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლებისათვის ზრუნვით.

საბჭოთა ხალხების ცხოვრების დონის განუწყვეტელი ზრდისათვის წარმატებით ბრძოლის საფუძველი მოცემულია თვით სოციალისტურ სისტემაში, თვით საბჭოთა სახელმწიფოს არსში. ამიტომაც არის, რომ საბჭოთა ადამიანებისათვის თვითეულ დღეს მოაქვს ახალი წარმატებანი წინსვლისა და უკეთესი ცხოვრების გზაზე.

და ჩვენი ქვეყნის გიგანტური წინსვლის, ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე უდიდეს გამარჯვებათა ფონზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი აღმავლობის ვითარებაში აქა-იქ შავ წერტილებად მოჩანს ნაკლოვანებები და ხარვეზები, ზოგიერთი შეფერხება და წარუმატებლობა. ეს ნაკლოვანებები და ხარვეზები, ცხადია, ვერ ცვლიან საერთო სურათს, ისინი ზრდის სიინდოლეებია, მაგრამ ფაქტია, რომ ზიანს აყენებენ საერთო საქმეს, წარმოადგენენ დაბრკოლებებს წინსვლის გზაზე.

ნაკლოვანებების ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ჩვენი ნაკლოვანებები უმთავრესად მომდინარეობენ ზოგიერთ ჩვენს სახელმწიფო ორგანიზაციასა და უწყებაში, დაწესებულებაში გაბატონებული მუშაობის მანკიერი, ბიუროკრატიული მეთოდებიდან, ერთეული პიროვნებების, ცალკეული ხელმძღვანელების ცუდი მუშაობიდან, საქმისადმი მათი უპასუხისმგებლო და უსულგული დამოკიდებულებიდან. არიან ისეთი ადამიანები, ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებს ცვლიან პირად ინტერესებზე, ეწევიან კომბინატორობას და გამოძალვას, ატყუებენ მშრომელებსა და სახელმწიფოს.

მსგავს მდგომარეობას ჰქონდა, მაგალითად, ადგილი თბილისის წყალსადენის მეურნეობაში, სადაც, ნაცვლად იმისა, რომ კეთილსინდისიერად აღერიცხათ წყლის ხარჯვა და ებრძოლათ მისი დანაკარგების აღკვეთისათვის, თვალის ახვევის, მოტყუების და კომბინატორობის გზას ადგნენ, ხელოვნურად ზრდიდნენ მომხმარებლებისათვის წყლის მიწოდების მაჩვენებლებს და აბონენტებს ზედმეტად ახდევინებდნენ წყლის გადასახადს; მშრომელთა ინტერესების საზიანოდ სერიოზულ დარღვევებს და უკანონობას აქვს ადგილი საქართველოს სარეწაო საბჭოს არტელებში და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამრეწველო საწარმოებში. გამოშვებული საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი ხშირად ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს და იწვევს მომხმარებელთა სამართლიან საყვედურებს. არტელებისა და საწარმოების ზოგიერთ ხელმძღვანელს საქონელი სარეალიზაციოდ უნებართვოდ გააქვს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ამ გზით საქართველოს სარეწაო კოოპერაციის თბილისის არტელებმა გასულ წელს თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებს დააკლეს 11.600 ათასი მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი, 3.750 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი და ა. შ.

ცნობილია, რომ მშრომელთა საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების საქმეში, რასაც უდიდეს ყურადღებას აქცევენ პარტია და მთავრობა, დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული საბინაო ფონდის შენახვას და მოვლას. მაგრამ ბევრგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამ საქმეს. ზოგიერთ რაიონში არის საცხოვრებელი სახლების კაპიტალური შეკეთების გეგმების შეუსრულებლობის, შეკეთების გაჭიანურების შემთხვევები და სხვა დარღვევები. ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, დუშეთის, ტყიბულის, წულუკიძის, გუდაუთის და ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური მეურნეობის განყოფილებებმა ვერ შეასრულეს საცხოვრებელი ბინების კაპიტალური შეკეთების 1957 წლის გეგმები, მათ შეუკეთებელი დარჩათ 140 საცხოვრებელი სახლი. ხშირია შემთხვევები, როცა ახალშეკეთებული სახლი კვლავ შესაკეთებელია.

ასეთი ფაქტები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ყველგან რომ სათანადოდ ხორციელდებოდეს ზემდგომი ორგანოების მხრივ დახმარება და ხელმძღვანელობა, ყველგან რომ საჭირო ყურადღება ექცეოდეს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებას, ყველგან რომ მტკიცე კონტროლი იყოს დაწესებული სახელმწიფოებრივი კანონიერების გატარებასა და დაცვაზე.

ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგები როლის შესრულება ეკისრებათ საბჭოთა კონტროლის ორგანოებს, რომლებიც პარტიის XX ყრილობაზე სამართლიანად იქნენ გაკრიტიკებულნი სუსტი მუშაობისათვის. ნაკლოვანებები იყო ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს საქმიანობაშიც.

პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს საბჭოთა კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებანი. შეიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საბჭოთა კონტროლის კომისიები, განისაზღვრა მათი ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი.

საბჭოთა კონტროლის კომისია მოწოდებულია განახორციელოს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება, შეისწავლოს სახელმწიფოებრივი აპარატის სტრუქტურა და მუშაობა, კონტროლი გაუწიოს ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის სწორად და მიზანშეწონილად ხარჯვას, ებრძოლოს უწყებრიობისა და კუთხურობის ტენდენციის ყოველგვარ გამოვლინებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ამ დიდი სამუშაოს შესრულებაში საბჭოთა კონტროლის ორგანოები არ შეიძლება მხოლოდ თავის ძალებს ეყრდნობოდნენ, უწყებრიობის ვიწრო ჩარჩოებით შემოიფარგლონ. ისინი მთელ თავიანთ საქმიანობას უნდა წარმართავდნენ საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

ახალი გაზრდილი ამოცანების შესაბამისად პირველი ნაბიჯები გადადგა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიამ. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. კომისიამ მთელი ძალები უნდა წარმართოს მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და უწესივრობის აღსაკვეთად, ღრმად ჩაიხედოს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობაში, საფუძვლიანად გაერკვეს მათი საქმიანობის კონკრეტულ პირობებში.

სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში ფართოდ უნდა ჩავაბათ მშრომელები, ხალხის ფართო მასები. თვითეულ საბჭოთა ადამიანს უნდა განვუმტკიცებდეთ მოქალაქეობრიობის მაღალ შეგნებას, ვუღვივებდეთ ჩვენი ცხოვრების, ჩვენი მუშაობის ჩრდილოვანი მხარეების, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის სულისკვეთებას, ვუნერგავდეთ დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობათა დაძლევისა და გადალახვის წყურვილს.

ჯერ კიდევ არიან შემორჩენილი ცუღლუტები, საქმოსნები, იოლი გამორჩენის მოყვარულები, კომბინატორები და სახელმწიფო ქონების გამნიავებლები, უპასუხისმგებლო და დოყლაპია ხელმძღვანელები. ისინი ჩვენს თვალწინ „მოღვაწეობენ“, ჩვენ ხშირად ვიცით მათ შესახებ, მაგრამ ყოველთვის არ ვიჩენთ საჭირო პრინციპულობას, არ გვყოფნის გამბედაობა, რათა ვამხილოთ ისინი, მზის სინათლეზე გამოვიტანოთ მათი „საქმეები“, შევქმნათ მათ ირგვლივ მკაცრი კრიტიკისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფერო, რაც თვითეული ჩვენგანის პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობაა.

აღმოვფხვრათ ხარვეზები და ნაკლოვანებები, ბიუროკრატიზმი და კანცელარიულობა მუშაობაში; გამოვავლინოთ და აღვკვეთოთ უპასუხისმგებლობის და დოყლაპიობის შემთხვევები; ფხიზლად და მტკიცედ ვიდგეთ სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲯᲕᲔᲠᲐᲯᲣᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲮ. Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

21 მარტს ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. ჯავახიშვილს, რომელმაც განაცხადა:

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადის შემდეგ 21 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში საქართველომ გიგანტური ნაბიჯები გადადგა თავისი ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

თუ პირველ დეკადაზე საქართველო მხოლოდ სამი შემოქმედებითი კოლექტივით იყო წარმოდგენილი, ახლა მოსკოველთა წინაშე წარსდგება 15 მხატვრული კოლექტივი.

პირველი დეკადიდან განვლილი დროის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდა ნიჭიერი მწერლების, პოეტების, მსახიობების, მხატვრების, მუსიკოსების მთელი პლეადა, შექმნილია მრავალი მაღალმხატვრული ნაწარმოები.

დეკადისათვის გამოცემულია ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე საბჭოთა მწერლების 150 წიგნი, რომლებიც წარმოდგენილი იქნება მოსკოვში ქართული ლიტერატურის გამოფენაზე.

მრავალი ქართველი მწერლის სახელი ფართოდ არის ცნობილი მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის გარეთაც. გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, კ. ლორთქიფანიძის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ა. ჭეიშვილის, გ. აბაშიძის, მ. ბარათაშვილის და სხვათა ნაწარმოებნი თარგმნილია სსრ კავშირის მოძმე ერთა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე.

დიდი პოპულარობით სარგებლობენ თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორების ა. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ა. ჩიმაკაძის, ს. ცინცაძის, ა. კერესელიძის, რ. ლაღიძის და სხვათა ნაწარმოებნი. დეკადაზე ქართველ კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს შეასრულებენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, კაპელა და კვარტეტი.

დეკადის დღეებში მოსკოვში გაიხსნება ქართველ ფერმწერთა, გრაფიკოსთა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების გამოფენა.

დედაქალაქში დიდი მზადებაა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის წარმატებით ჩატარებისათვის. მოსკოვი თავის საუკეთესო სათეატრო შენობებსა და საკონცერტო დარბაზებს უთმობს ქართული დეკადის მონაწილეთ.

ეჰვს გარეშეა, დიდ ინტერესს გამოიწვევს დეკადასთან დაკავშირებით მოწყობილი შინაარსიანი გამოფენა, რომელიც ასახავს რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობას.

სხვა რესპუბლიკების უკვე ჩატარებული დეკადებისაგან განსხვავებით, ქართული დეკადის დღეებში ლუნინიკის სპორტის სასახლეში ქართველ სცენის ოსტატთა მონაწილეობით გაიმართება დიდი კონცერტები. თვითეულ კონცერტს შეიძლება დაესწროს 10.000 მაყურებელი.

მოსკოვის ტელეცენტრი გადასცემს დეკადიასადმი მიძღვნილ სპეციალურ სატელევიზიო პროგრამებს, რომლებიც შეიძლება ნახოს მილიონობით მოსკოველმა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებმა.

სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართავს თავის სპექტაკლებს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომელიც მოსკოველებს უჩვენებს თავის ხუთ საუკეთესო დადგმას: ზ. ფალიაშვილის „დაისს“, პ. ჩაიკოვსკის „ორლეანელ ქალწულს“, დ. თორაძის ბალეტ „გორდას“, და ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალს“ და, ბოლოს, ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“, რომელმაც უკვე მოიპოვა დიდი პოპულარობა და რომელსაც დიდი ინტერესით მოელის დედაქალაქის მაყურებელი.

ვახტანგოვის სახელობის თეატრის შენობაში სპექტაკლებს გამართავს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. იგი დედაქალაქის მაყურებელს უჩვენებს სპექტაკლებს: ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“, გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელს“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“, ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტურ ტრაგედიას“ და ჯ. ფლეტჩერის „ესპანელ მღვდელს“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი თავის სადეკადო სპექტაკლებს უჩვენებს სსრ კავშირის მცირე თეატრის სცენაზე. თეატრის რეპერტუარშია ვა-ჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, მ. ბარათაშვილის „მარინე“, ლ. გოთუას „გზა-ჯვარედინზე“, შექსპირის „რიჩარდ მესამე“, ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“.

სსრ კავშირის სამხატვრო თეატრის ფილიალის სცენაზე სპექტაკლებს გამართავს გრიბოედოვის სახელობის თეატრი, რომელიც უჩვენებს სპექტაკლებს: ა. უაზბეგის „ბეგისბერ გოჩახ“, ვ. დარასელის „კიკვიძეს“, ა. კაპლერის „ქარიშხლიან წელს“, ნ. ლესკოვის „გამფლანგველს“.

დეკადაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის გასტროლებმა საფრანგეთში ასეთი ტრიუმფით ჩაიარა.

ჩვენი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ეროვნული კულტურის გამარჯვებებით. ქართული ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება, მშრომელი მასების თვითმოქმედების აყვავება მოწმობს ქართველი ხალხის დაუშრეტელ შემოქმედებითს შესაძლებლობებს.

საქართველოს მშრომელები, მათ შორის ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატები, უსაზღვროდ მადლიერი არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვისათვის, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკისათვის, რომლის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში.

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲔᲙᲣᲛᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ამ დღეებში მთელ საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარეობს ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები — ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. ეს შეხვედრები ყველგან იქცევა კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა მთავრობასთან ხალხის ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად.

11 მარტს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მაიკოპის საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინთან.

კრების მონაწილენი დიდი კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ ჩვენი სამშობლოს, კერძოდ ადიღეს, წარმატებებზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მათ მოუწოდეს ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატს ნ. ა. ბულგანინს. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა, რომელსაც ამომრჩევლები გულთბილად შეხვდნენ.

კუიბიშევში 11 მარტს კიროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. მშრომელთა წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ საბჭოთა ხალხის დიდ მიღწევებზე, რომლებიც მან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა. ორატორებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა ლ. ი. ბრეჟნევს.

კრების ბოლოს გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

იმავე დღეს ლენინგრადში გაიმართა კიროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვთან შეხვედრას.

ამხ. ვოროშილოვს მშრომელთა სახელით გულითადად მიესალმა კიროვის ქარხნის მნიველი კ. ა. კოვალენკო. ყველა, ვინც კრებაზე გამოვიდა, აღნიშნავდა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები იქნება პარტიისა და ხალხის ერთიანობის ახალი, მკაფიო დემონსტრაცია. დასასრულ კრებაზე გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი კ. ე. ვოროშილოვი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ერევანში 11 მარტს გაიმართა ერევნის — სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანთან შეხვედრას. კრების მონაწილეებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა ა. ი. მიქოიანს. ა. ი. მიქოიანის გამოსვლას გულთბილად და გულითადად შეხვდნენ.

სარატოვი — ლენინის საარჩევნო ოლქის 1.300-ზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა 11 მარტს კრებაში, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან მ. ა. სუსლოვთან შეხვედრას. ამომრჩევლები გულთბილად შეხვდნენ მ. ა. სუსლოვის სიტყვას. გამოთქვეს რა თავიანთი კოლექტივების ერთსულოვანი აზრი, კრებაზე გამოსულმა ორატორებმა განაცხადეს, რომ ქალაქ სარატოვისა და ოლქის მშრომელნი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები 11 მარტს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ნ. მ. შვერნიკს. კრებაზე გამოსული ამომრჩევლები სიამაყით ლაპარაკობდნენ საბჭოთა ხალხის დიდ მიღწევებზე, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის შეუსუსტებელ ბრძოლაზე მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა დეპუტატობის კანდიდატმა ნ. მ. შვერნიკმა, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

ქალაქ რიგის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. ე. კალნბერზინს. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა ი. ე. კალნბერზინმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მინსკში 11 მარტს გაიმართა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთან, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან კ. ტ. მაზუროვთან. კრების მონაწილეებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ კ. ტ. მაზუროვის გამოსვლას.

სსრ კავშირის მრეწველობის 1958 წლის თებერვლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სახალხო მეურნეობის საბჭოების მრეწველობისა და მთელი მრეწველობის მიერ საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა 1958 წლის თებერვალში შესრულებულია 104 პროცენტით. 1958 წლის ორი თვის — იანვარ-თებერვლის გეგმა შესრულებულია 103,5 პროცენტით.

სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წლის იანვარ-თებერვალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ შეასრულა საერთო პროდუქციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების 1958 წლის თებერვლის გეგმა და პირველი ორი თვის გეგმა.

სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება 1958 წლის იანვარ-თებერვალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1958 წლის იანვარ-თებერვალში წარმებულია	1958 წლის იანვარ-თებერვალი 1957 წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით პროცენტებით
თუჯი — მილიონ ტონობით	6,2	106
ფოლადი — მილიონ ტონობით	8,7	107
ნაგლინი — მილიონ ტონობით	6,9	108
რკინის მადანი — მილიონ ტონობით	13,6	105
ქვანახშირი — მილიონ ტონობით	79,2	108
ნავთობი — მილიონ ტონობით	17,2	118
გაზი ბუნებრივი — მილიარდ კუბურ მეტრობით	4,4	159
ელექტროენერგია (რაიონული ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიარდ კილოვატსაათობით	33,0	111
სოდა კალცინირებული — ათას ტონობით	274	108
გოგირდმჟავა — ათას ტონობით	782	106
მინერალური სასუქები — მილიონ ტონობით	2,0	108
ავტომობილის საბურავები—მილიონ ცალობით	2,3	113
ელექტროძრავები 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრისა — ათას ცალობით	2,5	108
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათას ცალობით	21,0	103
ავტომობილები — ათას ცალობით	84,3	105
ტრაქტორები — ათას ცალობით	35,0	106
ტრაქტორის გუთნები — ათას ცალობით	23,1	109
ტრაქტორის სათიბი მანქანები — ათას ცალობით	11,2	265
სამაგისტრალო თბომავლები — ცალობით	86	226
სამაგისტრალო ელმავლები — ცალობით	55	137
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები — ათას ცალობით	6,5	105
სამასალე შერჩნის გამოზიდვა (კოლმეურნეობათა და ხე-ტყის წვრილ დამამზადებელთა მიერ გამოზიდულის გარდა) — მილიონ კუბურ მეტრობით	44	106
ცემენტი — მილიონ ტონობით	4,9	119
შიფერი — მილიონობით პირობითი ფილა	370	114
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — მილიონ კუბურ მეტრობით ნაწარმი	2	151
ხელოვნური ბოჭკო — ათას ტონობით	27,4	112
ბამბის ქსოვილები — მილიონ მეტრობით	935	102
შალის ქსოვილები — მილიონ მეტრობით	48,7	107
სელის ქსოვილები — მილიონ მეტრობით	77,5	112
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონ მეტრობით	139	115
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი	57,2	114
ქაღალდი — ათას ტონობით	361	107
ფხვნილი შაქარი — მილიონ ტონობით	1,1	188
ხორცი (კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის საშინაო წარმოების და შემკვეთის ნედლეულის ჩაუთვლელად) — ათას ტონობით	211	104
თევზი (სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში) — ათას ტონობით	369	118
კონსერვები (სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში) — მილიონობით პირობითი ქილა	444	110
ყარაქი, ყველი და რძის სხვა პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის საშინაო წარმოების ჩაუთვლელად) — მილიონ ტონობით	1,6	108
მოუხდელი რძის პროდუქცია — მილიონ ტონობით	0,7	125

1958 წლის იანვარ-თებერვალში გადაჭარბებით შესრულებულია მძიმე მრეწველობის ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის მოპოვებისა და წარმოების გეგმა, მათ შორის ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, რკინის მადნის ამოღების, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, რაფინირებული სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, თუთიის, ელექტროენერგიის, ბენზინის, დიზელის სათბობის, კაუსტიკური და კალცინირებული სოდის, გოგირდმჟავას, სინთეზური ამონიაკის, მინერალური სასუქების, სინთეზური კაუჩუკის, ავტომობილების საბურავების, ორთქლის ტურბინების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, ავტომობილების, ტრაქტორების, ტრაქტორის გუთნებისა და კულტივატორების, სატვირთო ვაგონების, ცემენტის წარმოების გეგმა. რამდენადმე დააკლდა თუჯის გამოდნობის, ზოგიერთი სახეობის ლითონსაჭრელი ჩარხების, თბომავლებისა და შიფერის წარმოების გეგმის შესრულება.

ორი თვის გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია ფართო მოხმარების საქონელი: ბამბის, შალის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილები, ხელოვნური ბოჭკო, ტყავის ფეხსაცმელი, ქაღალდი, შაქარი, ხორცი, ძეხვის ნაწარმი, მოუხდელი რძის პროდუქცია, მცენარეული ზეთი და სხვა საქონელი.

მუშების შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა მრეწველობაში 1958 წლის პირველ ორ თვეში შესრულებულია 101 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გასული წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით 7,5 პროცენტით გადიდდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

მოკლე ცნობები

◎ 1918 წლის 11 მარტს საბჭოთა მთავრობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით პეტროგრადიდან მოსკოვს გადმოვიდა. რუსეთის ძველ ქალაქში გადმოსვლის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე პირველ ხანებში ცხოვრობდა და მუშაობდა კრემლს „კავალერის კორპუსში“, სადაც ეჭირა ოროთახიანი პატარა ბინა. ამ სახლში დაწერა მან განთქმული შრომა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“.

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის 40 წლისთავის აღსანიშნავად 12 მარტს შენობის ფასადზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალური დაფა და გაიმართა დედ-ქალაქის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი.

◎ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1958 წლის 1 მაისამდე მოეწყოს

ხალხის კანდიდატები

გამოჩენილი ქირურგი

ს. ბუაჩიძე.

* * *

დრო ყველაზე კარგი მკურნალია. დროს შეუძლია დაგიამოს მწვავე იარა, დიდი ტკივილი. განა დრომ არ განკურნა ომისგან ნაიარევი ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა. მტრის ძლევამ ხალხს ძალა შემატა, ბევრი ახალი მოუტანა. ახალმა კი გაახალისა, გააბარა, და ომუნვაც გაქარწყლდა.

ჰიტლერელებმა ალექსანდრეს სახლი აუწიოკეს. ჯერ ერთი ძმა მოუკლეს, მერე მეორე. თვითონ, მტრის ტყვეით დაჭრილი, სულთმობრძავი, ბრძოლის ველიდან მეგობრებმა გამოიტაცეს...

აბა რას იფიქრებდა მაშინ, თუ ოდესმე გამობრუნდებოდა. მაგრამ გავიდა ხანი, დღე დღეს მისდევდა, ალექსანდრესაც მოუშუშდა ყველა ტკივილი. მწარე წარსული ახლა ერთხელ ნახულ ავ სიზმარსავით აგონდებოდა.

იმ დილით კი თითქოს გაცოცხლდა ომის ხარათი. ახლა რომ შეეკითხებოდით, როგორა ხარო, — გულს უჩოდდა, სტკიოდა ნაჭრილობევი თავი, ფეხი, გაყუჩებულ ტკივილს ახლა უღვივებდა ნაცნობი ქალის სახელი, რომელსაც მალიმალ იმეორებდა დიქტორი. კედელს მიყრდნობილი ალექსანდრე ხარბად უსმენდა რადიომიმღებს:

... დიდი სამამულო ომის პირველი დღიდანვე სოფიო ბუაჩიძე საბჭოთა არმიის რიგებში საკუთარი სურვილით ჩადგა. მან სამამულო ომის მთელი პერიოდი სამხედრო სამსახურში გაატარა. მუშაობდა ერთ-ერთი საევაკუაციო ჰოსპიტლის წამყვან ქირურგად და მთელ თავის ქირურგიულ ოსტატობას ახმარდა საბჭოთა არმიის დაჭრილ მეომართა მკურნალობას. როდესაც ვერაგი მტერი კავკასიონის კალთებს მოადგა, საევაკუაციო ჰოსპიტალი ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა და ამ მძიმე პირობებში სოფიო ბუაჩიძეს ხშირად დღეში ოცდაათამდე ოპერაციის გაკეთება უხდებოდა. ამ ბატარა და ნაზ ქალში დიდი ნება და ენერგია აღმოჩნდა...

ბატარა ქალი!.. ამ ქალში დიდი ნება და ენერგია აღმოჩნდა — მისდევდა დიქტორის ხმას ალექსანდრე და მზად იყო დაეყვირა, ცა და ქვეყანა შეეყარა, ყველასათვის ეთქვა რომ ეს ქალი მისი ნაცნობია. ალექსანდრე ერთ-ერთია იმ მრავალ მეომართაგან, რომლებსაც ამ ქალმა სიცოცხლე აჩუქა.

...იმ დამით თბილისის საევაკუაციო ჰოსპიტალში უამრავი დაჭრილი ჩამოიყვანეს. მათ შორის იყო ახალგაზრდა ოფიცერი ალექსანდრე ივანოვიც, ყუმბარის ნამსხვრევებით დაცხრილული. მეომარს მხოლოდ გულში დარჩენოდა სიცოცხლის სითბო. დოლბანდში შეხვეულ პირსახეზე მხოლოდ თვალები მოუჩანდა, რომლებიც თეთრხალათიანებში მხსნელს დაეძებდნენ. თეთრხალათიანებში კი, თითქოს საგანგებოდ, ალექსანდრეს გულგასახეთქად ახალგაზრდა ბატარა ქალი დაანახეს, — ხედავ? — ეს არის ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი — სოფიო ბუაჩიძე. ამ ქალმა ბევრ მებრძოლს აჩუქა სიცოცხლე... — ამშვიდებდნენ ალექსანდრეს, როცა შენიშნეს, რომ დიდად არ გაახარა ამ ამბავმა.

ასეთ ბატარა ქალს სახლს არ ანდობენ მარტოს, მას რა შეუძლია? — ეჭვობდა ალექსანდრე და სიკვდილის შიში იპყრობდა. ბატარა ქალი კი მუდამ გულმხიარული, სიცოცხლითა და ხალისით სავსე მის საწოლთან ჩამოჯდებოდა და მკითხავდა:

— ნაშა, როგორა ხარ? ამბობენ გეშინია, მიფრთხილდი, იცოდე, — ხუმრობდა ექიმი.

— ნუთუ ეს ქალი სიცოცხლეს შეინარჩუნებს? — შიშნარევი კითხავდა ხოლმე თავის თავს ალექსანდრე.

და აი დადგა „განკითხვის დღე"... საოპერაციო მაგიდაზე გაშოტილ ალექსანდრეს თვალები ფანჯრისათვის მიუპყრია. აქედან მოჩანდა ცის პაწაწინა ნაგლეჯი. ვინ იცის ეგებ შვილების ამბის მოლოდინში დაღლილი მისი დედაც ახლა ცას გახცქერის... და აბა რა იცის, რომ შორს მისი სოფლიდან, საქართველოში, ამ თეთრ ოთახში, მისი შვილის გადასარჩენად იბრძვის ქართველი ქალი — სოფიო ბუაჩიძე, თორემ ფრთებს შეისხამდა, მოფრინდებოდა დედა და მტლად დაედებოდა ექიმს, ოღონდაც მისი ნაშა გადაერჩინა.

... ოთახში გამეფებულმა უჩვეულო სიწყნარემ ლამის გული წაართვას დაჭრილს. აქაური სიმშვიდეს არღვევს რკინის იარაღები, რომლებსაც მარჯვედ ხმარობს „ბატარა ქალი". ახლა სახე არც ამას უჩანს. დოლბანდის ნიღაბი უმალავს. თვალები კი ისევ მომღიმარი აქვს, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო. გულდამშვიდებით მიმართავს ხოლმე საოპერაციო დას:

— მომაწოდეთ ნოვოკაინი, კობერი!

— ტამპონი, ჩქარა.

— მმ, — გმინავს სიმწარისაგან ალექსანდრე.

ბატარა ქალი კი თავის საქმეს მაინც არ ტოვებს და ესაუბრება...

— ნაშა, გეთაყვა, სულ ცოტა მომითმინე და კიდევაც დავამთავრებთ. უკვე ხელთა მაქვს ყუმბარის ნამსხვრევი, შეგიძლია სამახსოვროდ შეინახო.

— მტკივა, — კბილებს აღრჭიალებს ალექსანდრე.

— არაფერია, მოგირჩება, ქორწილამდე მოგირჩება, მანამდე ყველაფერა დაგიამდება, გგონია არ ვიცი შენი საიდუმლო?

— ნატო, შენ რაღას იტყვი? — ეკითხება კედელთან ატუზულ ფერმკრთალ ექთანს „ბატარა ქალი" და დოლბანდს ახსნის, სახეზე ღიმილი უთამაშებს.

ქორწილამდე მოგირჩებაო, ახე თქვა მაშინ ექიმმა. ყველას სურვილი ასე მართლად აგსრულებოდეთ, როგორც ალექსანდრეს აუსრულდა მისი წინასწარმეტყველება. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ყავარჯნები გადაყარა. ქარიშხალმა გადაიარა, ჩვენ გავიმარჯვეთ და ალექსანდრემ ბინა თბილისში დაიმკვიდრა, ოჯახს მოეკიდა. გულისსწორად ნატო გაიხადა, მწყობრში ჩადგა და ხამსახურიც მალე დაიწყო. ამასობაში „ბატარა ქალიც" გაიზარდა. მოსკოვში, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში მოამზადა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ბრწყინვალედ დაიცვა.

— პროფესორია, 50-ზე მეტი ნაშრომი აქვს, — ესმოდა თავის მკურნალზე ალექსანდრეს და გული სიამით ევსებოდა. ომგადახდილი შემდეგაც ხშირად შეხვედრია თავის მკურნალს. ალექსანდრეს მკერდს სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი უმშვენებს, მკურნალს კი — წითელი ვარსკვლავის ხაბრძოლო ორდენი. ვაჟკაცი ქალის წინ ბავშვივით დაამორცხვებდა ხოლმე და თავს ჩაქინდრავდა. მის თვალში ახლა იგი „ბატარა ქალი" კი არა, გოლიათი იყო, სასწაულმოქმედი. ეს კი, თითქოს გულისთქმას მიუხვდაო, ჩვეული ხუმრობით გამომწვევად ეტყოდა ხოლმე:

— ბარი ბარში, ჩემო ალექსანდრე, ჩვენ ორთავენი ჩვენი ხალხის სიცოცხლისათვის ვიბრძოდით, ეტყობა ორივენი ფხიზლად ვიყავით, არა? — და მკერდზე ანიშნებდა...

დიქტორის ხმამ ივანოვი ფიქრებიდან გამოარკვია:

— აჭარაში ხულოს რაიონის სოფლების ოკტომბრისა და ჭედელების მშრომელებმა თავიანთ რჩეულად სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ერთსულოვნად დაასახელეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი სოფიო მოსეს ასული ბუაჩიძე.

ალექსანდრეს შინ გული აღარ დაუდგა, გარეთ გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით დაადგა ქუჩას. გარბის... ახლავე უნდა ნახოს სოფიო და მიულოცოს ხალხის ნდობა. მაგრამ ვიდრე იქამდე მიაღწევდეს, მზად არის გააჩეროს ქუჩაში გამვლელი ქალი თუ კაცი და უთხრას:

— გესმით? — რადიო რომ ქალზე გიამბობთ ახლა, იგი ჩემი მკურნალია. მან მე სიცოცხლე მაჩუქა. მეჯერა — იგი ხალხის ნდობას გაამართლებს.

თავდებად უდგება ალექსანდრე ივანოვი, „ბატარა ქალს".

გულნარა გახტაძე.

მწველავი მარიამ საბანოვა

მ. საბანოვა.

* * *

მთის ბატარა, ოსებით დასახლებული სოფელი ონაური 1935 წელს ნებაყოფლობით შეუერთდა ქართულ სოფელ ერედვს. ონაურელები ერედვში ჩამოსახლდნენ. ასე დაიწყეს ერთად შრომა და ცხოვრება ამ სოფელში ქართველებმა და ოსებმა.

ონაურიდან თანასოფლელებს ჩამოყვა და ერედვში დასახლდა მარიამ ქუჯის ასული საბანოვაც. ის მაშინ ოცდაერთი წლისა იყო. მთიელი ქალიშვილი ოცნებობდა ახალშეძენილ თანასოფლელებში ბეჯითი შრომით კარგი სახელი მოეპოვებინა.

— შრომის გარეშე არ არსებობს არც სიყვარული, არც სიხარული! — ბევრჯერ გაუგონია მარიამს ეს სიტყვები მშობლებისაგან, მოხუც მეზობლთაგან; მოხუცები სიტყვით და საქმით უნერგავდნენ მარიამს სახალხო საქმისადმი სიყვარულის გრძნობას.

მარიამმა ერედვის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა.

...ეს იყო თექვსმეტი წლის წინათ. მას შემდეგ იგი ფერმაშია. უვლის, მზრუნველობით დასტრიალებს თავს პირუტყვს.

თექვსმეტი წელი, თექვსმეტი ზამთარი და ზაფხული ფერმაში — ეს იოლი საქმე როდია! ამ ხნის მანძილზე არა ერთი დაბრკოლება, სიძნელე გადაულახავს მას ერედველ მეცხოველეებთან ერთად. მან თავდადებული შრომით მნიშვნელოვნად გაადიდა წველადობა, მაღალპროდუქტიული გახადა მოსავლელად მიჩენილი ძროხები. მარიამი უნარიანად უძღვება საქმეს, უვლის 12 ძროხას, რომელთაგან ყოველთვის გეგმის გადამეტებით იღებს რძეს.

მ. საბანოვას მამაცურ შრომაზე მკაფიოდ მეტყველებს თუნდაც მარტო გასული წლის შედეგები. შარშან მან ადგილობრივი ჯიშის 12 ძროხიდან თვითეულზე 1.621 ლიტრი რძე მიიღო, სულ კი მოსავლელად მიჩენილ ძროხებზე მიიღო 19.452 ლიტრი.

მაღალი წველადობის მიღებასთან ერთად იგი დაუღალავად მუშაობს ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის, იყენებს მოწინავეთა გამოცდილებას, ზუსტად იცავს ზოოვეტერინარულ წესებს. შედეგიც საუცხოოა. ფერმაში მუშაობის მანძილზე მან 200-მდე ხბო გაზარდა.

შარშან მარიამ საბანოვამ 360 შრომადღე გამომუშავა, ასევე ბეჯითად იშრომა მისმა მეუღლემ. საბანოვას ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეებზე კოლმეურნეობიდან მარტო ფულად 8 ათასი მანეთი მიიღო.

ერედველებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს მოწინავე მწველავს მარიამ საბანოვას. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს. მისი კანდიდატურა რეგისტრირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის № 620 სახოფლო საარჩევნო ოლქში.

მარიამ საბანოვამ კარგად იცის, რომ ხალხის ნდობა მას დიდ პასუხისმგებლობას, დიდ მოვალეობას აკისრებს.

ს. ყურაშვილი.

მაზარაძელთა თაოსნობის პასუხად

ᲒᲝᲠᲘ. (სპეც. კორ.). რაიონის მშრომელებმა ფართოდ განიხილეს მახარაძის რაიონის მშრომელთა მიმართვა საქართველოს ყველა რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოსადმი, სოფლის ყველა მშრომელისადმი სოფლად მასობრივი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაჩაღების შესახებ. გორელებმა გადაწყვიტეს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით შეადგინონ მშენებლობის სამწლიანი გეგმა. ამ მიზნით კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში წინასწარ შეისწავლეს შესაძლებლობანი,

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

შეადგინეს გეგმები და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით განიხილეს კრებებზე, სასოფლო საბჭოების სესიებზე.

ამ დღეებში სპეციალურად ამ საკითხზე მოწვეულ იქნა რაისაბჭოს სესია, რომელმაც მიიღო კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის რაიონული სამწლიანი გეგმა. ამ მიზნით კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში წინასწარ შეისწავლეს შესაძლებლობანი, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სულ მცირეოდენი რეკონსტრუქციისა და დანადგარების მოწყობის შემდეგ.

რაც შეეხება წითლის მტს-ის ბაზაზე მოწყობილ სარემონტო-ტექნიკურ სადგურს, იგი კიდევ უფრო გაფართოვდება ახალი ნაგებობებით ნავთობპროდუქტების, ხახუჭებისა და მანქანა-იარაღებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია მიეყიდოს კოლმეურნეობებს.

პარტიის რაიკომის ბიურომ მკაცრად გააფრთხილა მტს-ების დირექტორები და მათი მოადგილეები ტექნიკის დარგში თვალყური ადევნონ სახელმწიფო საკუთრებაში — ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-იარაღების დაცვას დატაცება-განიავებისაგან, რასაც შესაძლოა შეეცადოს ვინმე მტს-ების რეორგანიზაციის დღეებში. ეს გაფრთხ ლება უსაფუძვლო როდი აღმოჩნდა! 6 მარტს ქედის მტს-ის საწყობიდან დირექტორის გ. ერიაშვილის და მთავარი ინჟინერ-მექანიკოსის შ. ვარძუკაშვილის წერილობითი და ზეპირი განკარგულებებით, მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობებს უკვე ნაყიდი ჰქონდათ ტრაქტორები და სხვა მანქანა-იარაღები, უფასოდ გასცეს თავიანთ ყოფილ ხატრაქტორო ბრიგადებზე 11 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები. როგორც კი რაიკომმა ამის შესახებ მიიღო სიგნალი, მაშინვე შეამოწმა ადგილზე და უკვე მეორე დღეს, 7 მარტს, ბიუროს სხდომაზე განხილა ქედის მტს-ში სათადარიგო ნაწილების გასაიდების საკითხი. რაიკომის ბიურომ მტს-ის დირექტორს ამხ. გ. ერიაშვილს დაადო მკაცრი პარტიული სასჯელი, ხოლო მტს-ის მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი შ. ვარძუკაშვილი, რომლის უშუალო ნებართვითაც გაცემულ იქნა 11 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები, ამ საქმეში დანაშაულებრივი მოქმედებისა და ზოგიერთ სხვა ბრალდებათა გამო გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ

წითელწყაროს რაიონში სულ 13 კოლმეურნეობაა. ზოგიერთი კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი 16,5 მილიონ მანეთამდე ადის. გასულ, 1957 წელს ყველა კოლმეურნეობის მარტო ფულადმა შემოსავალმა 54.978.516 მანეთი შეადგინა და 1956 წელთან შედარებით თითქმის 2 მილიონი მანეთით გაიზარდა. მაშასადამე, კოლმეურნეობებს სრული შესაძლებლობა აქვთ სახელმწიფოსაგან ხესხის მიუღებლად შეისყიდონ მათთვის საჭირო ტექნიკა. ასეც გადაწყვიტეს კოლმეურნეთა კრებებზე.

გამოყოფილმა რაიონულმა კომისიამ კოლმეურნეობათა წარმომადგენლებთან ერთად წინასწარ შეამოწმა მტს-ების განკარგულებაში არსებული ტექნიკა, მისი რაოდენობა, ვარგისიანობა და მისცა შეფასება. ამის შემდეგ კოლმეურნეობათა წარმომადგენლებმა თავიანთ საჭიროებათა მიხედვით შეისყიდეს ტრაქტორები, კომბაინები და სხვა მანქანა-იარაღები.

თვალსაჩინოა რაიონის კოლმეურნეობათა სიმძლავრე და მათი ტექნიკური აღჭურვილობა. მაგალითად, სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ მტს-ისაგან შეისყიდა სხვადასხვა მარკის 13 ტრაქტორი, 12 კომბაინი, ხილოსის 2 კომბაინი და სხვა მისაბმელი მანქანა-იარაღები, სულ 700.547 მანეთის ღირებულებისა. ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შეისყიდა 17 ტრაქტორი, 20 კომბაინი და მრავალი სახის სხვა მანქანა-იარაღი, რაშიც სახელმწიფოს გადაუხდის 919 ათას მანეთს. არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ შეისყიდა 18 ტრაქტორი, 19 კომბაინი და სხვა სახის მანქანა-იარაღები, სულ 1 მილიონ 38 მანეთის ღირებულებისა. რაც შეეხება ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, მან წითლის მტს-იდან შეისყიდა სხვადასხვა მარკის ტრაქტორები, კომბაინები და მანქანა-იარაღები, სულ 1.102.662 მანეთისა. დანარჩენმა კოლმეურნეობებმაც დღეისათვის მთლიანად შეისყიდეს მათთვის საჭირო მანქანა-იარაღები, რომლებიც უკვე მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

როგორ შეხვდნენ ტრაქტორისტები მტს-ების რეორგანიზაციას? — შეიძლება პირდაპირ ითქვას: უდიდესი სიხარულით. კოლმეურნეობებმა ხომ ის ტექნიკა შეისყიდეს, რომელიც რეორგანიზაციამდე მათ ემსახურებოდა თავისი მექანიზატორებით? თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამა თუ იმ კოლმეურნეობაში მომუშავე მტს-ის ბრიგადები ძირითადად დაკომპლექტებული იყო იმავე სოფლის მკვიდრი მცხოვრებლებით, გასაგები გახდება ტრაქტორისტების სიხარულიც.

წითლის მტს-ის ტრაქტორისტი, ზემო მაჩხაანელი ბ. ტოკლიკიშვილი ამბობს:

— არ სჯობია, რომ კოლმეურნეობაში შრომადღეებზე ვიმუშავებ? ჩვენს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში თვითეული შრომადღის ღირებულებამ 33 მანეთი და 91 კაპიკი შეადგინა. აბა იანგარიშეთ, რამდენი მერგებოდა 1.500 შრომადღეზე, რომელიც შარშან გამოვიმუშავე?—ვგონებ ბევრად მეტი, ვიდრე მტს-იდან ფულად მივიღე.

მარტო ბ. ტოკლიკიშვილი კი არა, ბევრი სხვა ტრაქტორისტიც ამბობს უარს საგარანტიო მინიმუმზე, რადგან რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მაღალია და ყოველწლიურად იზრდება შრომადღის ღირებულება.

ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ამჟამად კოლმეურნეობების მიერ მტს-ებისაგან ნაყიდი ტრაქტორები მისაბმელი მანქანებით და იარაღებით მუშაობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ხელმძღვანელობით. ისეთ დიდ კოლმეურნეობებში, როგორიც ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ჯაფარიძის, ზემო ქედის და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობაა, შექმნილია მსხვილი საწარმოო ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან აგრონომები ან აგროტექნიკოსები. მათ თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ ტექნიკა. ამიტომ ტრაქტორები და სხვა მანქანა-იარაღები, ისევე როგორც სხვა საწარმოო საშუალებანი, ემაგრება ბრიგადებს გამგეობის დადგენილებით მუდმივი სარგებლობისათვის. ასე რომ ცალკე ხატრაქტორო ბრიგადა კოლმეურნეობაში არ რჩება. საწარმოო ბრიგადების ბრიგადირებს ეყოლებათ მოადგილეები ტექნიკის დარგში. ამ სამუშაოზე გამოყენებულ იქნებიან მტს-ებიდან კოლმეურნეობაში სამუშაოდ გადასული ხატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირები, მათი მოადგილეები და სხვა მცოდნე, გამოცდილი მექანიზატორები.

ამას გარდა, კოლმეურნეობების საწარმოო ბრიგადებს „უროეთის" მარკის საველე რადიოგადამცემით კავშირი ექნებათ სარემონტო-ტექნიკურ სადგურთან. რათა საჭიროების დროს გამოითხოვონ სადგურის მოძრავი სახელოსნო შემდუღებელი აგრეგატით ან სათადარიგო ნაწილებით.

იმის გამო, რომ მტს-ებიდან კოლმეურნეობებში სამუშაოდ წასულთათვის რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში არ იქნება საგარანტიო მინიმუმი, კოლმეურნეობათა გამგეობების აზრია ასეთი მუშაკებისათვის შრომის ანაზღაურება განსაზღვრონ მათი განათლებისა და წელთა დამსახურების მიხედვით. რაც შეეხება ტრაქტორისტების გამომუშავების ნორმებს, დროებით რჩება იგივე, რაც მტს-ებშია დაწესებული.

თავისთავად ცხადია, რომ ერთგვარ ცვლილებას მოითხოვს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის სტრუქტურაც. წითელწყაროელ ამხანაგებს მიიჩნიეთ და პრაქტიკულადაც ამირებენ განახორციელონ ზოგიერთი ორგანიზაციული ღონისძიება კოლმეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ეყოლება ერთი განთავისუფლებული მოადგილე. თავმჯდომარის მეორე მოადგილე მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში იქნება მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი. ამას გარდა, ცალკე დარგების მიხედვით იქნებიან მთავარი სპეციალისტები, როგორც, მაგალითად, მთავარი აგრონომი, მთავარი ზოოტექნიკოსი, მთავარი ვეტექიმი და სხვ.

რაიონული აქტივის თათბირზე წამოიჭრა საკითხი აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომთან ისეთი განყოფილების შექმნისა, რომელიც იმუშავებს კოლმეურნეობათა დაგეგმარებისა და მათი საქმიანობის კონტროლის განხორციელებაზე. იმსჯელეს ამ საკითხზე და საბოლოოდ გამოთქვეს აზრი, რომ რაისაბჭოს აღმასკომთან ახლა არსებული საგეგმო კომისიისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების, აგრეთვე რაიმეწყამომწყვრის, მთავარი ვეტექიმის და მელიორატორის თანამდებობათა გაერთიანების ბაზაზე შეიქმნას ერთი — სახელდობრ რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო-საორგანიზაციო განყოფილება. ყველა აღნიშნულ მუშაკთა გარდა მათ რომ დაემატოს ერთი მტს-ის მოელი შტატის მხოლოდ 25 პროცენტი, იგი თავისუფლად შეძლებს უკეთესად განახორციელოს კოლმეურნეობებისადმი დახმარება და ხელმძღვანელობა, ვიდრე დღემდე მტს-ები ასრულებდნენ ამას.

* * *

შემოქმედებითი შრომაა ახლა გაჩაღებული წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე. ქედელები და არხილოსკალოელები, ზემომაჩხაანელები და არბოშიკელები, ორჯონიკიძელები და ჯაფარიძელები ერთმანეთს ეჯიბრებიან მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

შირაქისა და ტარიბანის, ზილიჩისა და ალაზნის ველებზე მძლავრად გუგუნებენ საკოლმეურნეო ტრაქტორები, რომელთა საჭეს მექანიზატორთა მადლიანი მარჯვენა მართავს. გვალვიანი გაზაფხული დამდგარა, მაგრამ საბჭოთა ადამიანის შემართებას თვით ბუნებაც ვერ აღუდგება წინ. ითესება მზესუმზირა და გაზაფხულის ქერი, შვრია და საკვები ძირხვენები. იმარგლება შემოდგომის ნათესები.

მექანიზატორები ახლა უფრო ხალისიანად მუშაობენ. კარგი შრომა კარგადაც დაუფასდებათ. იციან ეს და ძალონისაც არ ზოგავენ ახალ და ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

შირაქის ტრამალებში მიმქრიან საშენი მასალებით დატვირთული ავტომანქანები. საწარმოო ბრიგადებში მიაქვთ მასალები ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-იარაღებისათვის სადგომებისა და მექანიზატორთა საველე ბინების ასაგებად.

ახალი პატრონი ახლებურად ზრუნავს მანქანებსა და ადამიანებზე...

ა. კოკილაშვილი,
გ. ზუკაკიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი (მარცხნივ), წითლის მტს-ის დირექტორი ჯ. ფიცხელაური და კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსი შ. ნატროშვილი აფორმებენ საბუთებს მტს-ის მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის მიყიდულ ტექნიკაზე.

ფოტო ჯ. გინზბურგისა.

კოლმეურნე გლეხობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის!

როგორ წყვეტენ წითელწყაროელები მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წამოჭრილ ამოცანებს

ალმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში, გავაძლიეროთ სახელმწიფო კონტროლი

★ ★ ★ ★

დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილება ფართო მოხმარების საგნებზე

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამრეწველო საწარმოებს და საქართველოს სარეწაო საბჭოს არტელებს გარკვეული ადგილი უჭირავთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ წელს ამ სისტემებმა სავაჭრო ორგანიზაციებს მიაწოდეს 1,3 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისტემების სამრეწველო საწარმოებს ზოგიერთი წარმატება აქვთ, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია, არ სრულდება ცალკეულ სახეობათა პროდუქციის გამოშვების, ასორტიმენტის გეგმები და ა. შ.

აღნიშნულ სისტემებს განაღდებული არა აქვთ ისეთი საქონლის წარმოების გეგმა, როგორიც არის აგური, ალვი, რკინის საწოლები, ლამპის შუშა, სათამაშოები, ქაღალდი ნაწარმი და მთელი რიგი სხვა საჭირო საქონელი.

გამოშვებული საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი ხშირად ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს, მომხმარებლები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის რესპუბლიკური სამმართველოს მონაცემებით, გასული წლის ბოლო კვარტალში აღგილობრივი საბჭოების 14 საწარმოში, მათ შორის მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატში (დირექტორი ვ. ლომჯარია), თბილისის გარეუბნის სამრეწველო კომბინატში (დირექტორი ი. ბუაძე), თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი ა. აივაზოვი) შემოწმებული სამრეწველო საქონლის 2.178 პირობითი ერთეულიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილია 13 პროცენტი, ხოლო დაწუნებული ან წარმოებაში დაბრუნებულია 23,6 პროცენტი; საქართველოს სარეწაო კოოპერაციის 17 არტელში, მათ შორის არტელებში „სინათლე“ (თავმჯდომარე ბ. ჩხიკვიშვილი), „წითელი ოქტომბერი“ (თავმჯდომარე ვ. ჩირაძე), „ინმრეწვკომბინატი“ (თავმჯდომარე მ. ჩიკვაშვილი), „მშრომელი“ (თავმჯდომარე ც. გეგელია) 1.617 პირობითი ერთეულიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილია 4,2 პროცენტი, ხოლო დაწუნებული ან წარმოებაში დაბრუნებულია 87,5 პროცენტი.

საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობამ (თავმჯდომარე ამხ. გ. ჟორჟიკაშვილი) და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა საჭირო ზომები უნდა მიიღონ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, უნდა გააუმჯობესონ ფართო მოხმარების საგნების წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, სათანადო ყურადღება დაუთმონ მრწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, შრომის ორგანიზაციის სრულყოფილი ხერხების შესწავლას და დანერგვას.

ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთ სამრეწველო საწარმოს და საქართველოს სარეწაო საბჭოს არტელებს საქონელი სარეალიზაციოდ უნებართვოდ გააქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მაშინ როცა ზოგიერთი საწარმო ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის მიწოდების გეგმას ვერ ასრულებს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ტრიკოტაჟის ფაბრიკამ (დირექტორი შ. რამიშვილი) მარტო ერთ თვეში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უნებართვოდ გაუტანია 264 ათასი მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მთელი რიგი საწარმოები და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს არტელები სახალხო მოხმარების საგნების — ავეჯის, სამკერვალო, ტრიკოტაჟისა და საგალანტერეო ნაწარმის, სათამაშოების, სასპორტო საქონლის, საოჯახო და სამეურნეო საჭიროების საგნების, საშენი მასალების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების გადიდებისათვის ზრუნვის ნაცვლად ადგებიან პროდუქციის გამოშვების გადიდების მავნე გზას — უშვებენ მეორეხარისხოვან არასაბაზრო მოთხოვნილების საქონელს. ეს ნაწარმი ხელსაყრელია ფასეულობით გამოხატულებაში და ნაკლებ შრომატევადია. ასეთი საქონლის წარმოებას ეტანებიან „საქმოსნები“, ხოლო საწარმოთა ხელმძღვანელები ხშირად მფარველობენ არაკეთილსინდისიერ მუშაკებს. უფრო მეტიც: ასეთ ნაწარმზე ხშირ შემთხვევაში საწარმოთა ხელმძღვანელები თვითნებურად აწესებენ გადიდებულ გასაყიდ ან საბითუმო ფასებს და რეალიზაციით მიღებული სახსრების დიდ ნაწილს საქონლის დამამზადებელ პირთა შორის ანაწილებენ შრომის მეტისმეტად მაღალი ანაზღაურების სახით.

მსგავსი მდგომარეობა გამოავლინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიამ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ზოგიერთ საწარმოში, საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს მთელ რიგ არტელებში, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დროშებისა და ვიმპელების, ლითოგრაფიული ოქსიდირებული ტაბულების და თუნუქზე ტექნიკის უსაშიშრობის პლაკატის წარმოებაში. განსაკუთრებით უხეში დამახინჯებები იყო არტელებში „მხატვარში“ (თავმჯდომარე რ. შეროზია), „საქფოტოში“ (თავმჯდომარე დ. ხოშტარია) და „გმირში“ (ყოფილი თავმჯდომარე მ. მარსაგიშვილი), „5 დეკემბერში“ (თავმჯდომარე ა. სამარგულიანი), გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატში (დირექტორი ო. ორჯონიკიძე) და სხვ.

საქართველოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობამ, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი დაქვემდებარებული საწარმოებისადმი, ენერგიულად იბრძოლონ ასორტიმენტის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის, საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მომსახურების ამაღლებისათვის.

ბ. ჯოჯუთაბერიძე.

წესრიგი დავამყაროთ თბილისის წყალსადენის მეურნეობაში

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული თბილისისათვის სამეურნეო-სასმელი წყლის მიწოდების გასადიდებლად. მაგრამ მოსახლეობისა და მრეწველობის მზარდი მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილებული მაინც არ არის. წყალსადენის მეურნეობაში დამყარებული არ არის საჭირო წესრიგი, გამოუყენებელია წყლით მომარაგების არსებული შესაძლებლობანი.

წყალსადენის ზოგიერთი მუშაკი, ნაცვლად იმისა, რომ კეთილსინდისიერად აღრიცხოს წყლის ხარჯვა და იბრძოლოს დანაკარგების წინააღმდეგ, თვალის ახვევის, მოტყუების გზას დაადგა. ასეთი მუშაკები ხელოვნურად ზრდიან მომხმარებლებისათვის წყლის მიწოდების მაჩვენებლებს და ხშირად ზედმეტად ახდევინებენ აბონენტებს როგორც წყლის გადასახადს, ისე საკანალიზაციო ანაკრებებს.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, თბილისის წყალსადენის ხუთ საექსპლოატაციო უბანში 11 თვის ანგარიშგებაში მომხმარებლების მიერ დახარჯული წყლის რაოდენობის მაჩვენებლები ხელოვნურად იყო გადიდებული 26,6 პროცენტით. აქედან მარტო მეოთხე საექსპლოატაციო კანტორაში (უფროსი ამხ. გ. მდივანი) მიწერილი იყო 7,4 მილიონი კუბმეტრი. აღნიშნულ ხუთ საექსპლოატაციო უბანში, რომლებიც 17.601 აბონენტს ამარაგებენ წყლით, შემოწმებული 739 აბონენტიდან 250-ს ზედმეტად დაერიცხა და უკანონოდ გადახდა 776.600 მანეთი.

ასეთი მაქინაციებით თბილწყალსადენში (სამმართველოს უფროსი ამხ. ე. შარაშენიძე) გეგმების გადაჭარბებით შესრულების ხელოვნურ, მოჩვენებითს სურათს ქმნიდნენ. გასულ წელს გეგმების გადაჭარბებით შესრულების ხელოვნურად შექმნილი მაჩვენებლების საფუძველზე წყალსადენის მუშაკებს ჯილდოს სახით მიეცათ 209 ათას მანეთზე მეტი, ხოლო თბილკანალტრესტის მუშაკებს 57 ათასამდე მანეთი.

თბილისის მოსახლეობის წყლით მომარაგების გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად აფერხებს ის, რომ ქალაქის საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ა. მელაძე) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს წყალსადენის მეურნეობაში საჭირო წესრიგის დამყარებას, კერძოდ, ურიგდება წყლის დიდ დანაკარგებს სახლების შიდაქსელში, რაც გამოწვეულია ქსელის სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის (ონკანების, საბაზანო არმატურის, ჩამრეცხი ავზების) დაზიანების შედეგად.

თბილისის წყალსადენის მეურნეობაში წესრიგი უნდა დამყარდეს.

კ. ბაბუნაშვილი.



★ ★ ★

წიგნები... ჰონორარისათვის



უკანასკნელ ხანს წიგნის მაღაზიებში ჭარბად გამოჩნდა სხვადასხვა სახის გამოთვლითი სახელმძღვანელოები, თუმცა მოთხოვნილება მათზე მცირეა. იმ ავტორთა შორის, რომლებიც გამომცემლობებს თავს ახვევენ ამგვარ წიგნებს, გამოირჩევა თ. ჭაია. თბილისის გამომცემლობებმა თავის დროზე უარი თქვეს თ. ჭაიას წიგნის „პროცენტების გამოთვლის ცხრილის“ გამოცემაზე, მაგრამ მოხერხებული ავტორი არ დაიბნა, საქმე გაჩარხა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობაში და მალე გამოსცა 70 საავტორო ფორმის მოცულობის წიგნი. გამომცემლობამ ავტორს ჰონორარის სახით 112 ათასი მანეთი გადაუხადა.

როგორ მიიღო მკითხველმა საზოგადოებამ თ. ჭაიას ეს წიგნი? 5 წლის შემდეგ მთელი ტირაჟის თითქმის ნახევარი (2.700 ცალი) ჩამოწერილ იქნა მაკულატურად. მარტო ამ წიგნის გამოცემაზე სახელმწიფომ 100.000 მანეთი იზარალა.

სათანადო მომთხოვნელობა და პრინციპულობა არ აღმოაჩნდათ სახელგამშიც, სადაც გამოსცეს ამ ავტორის მეორე წიგნი „არითმეტიკა და სამეურნეო გამოანგარიშება“. თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუხჰალტრო აღრიცხვის კათედრის 1957 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე ამ წიგნს ძალიან დაბალი შეფასება მისცეს.

კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ გამომცემლობები წიგნებს უშვებენ მკითხველთა მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად.

ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა, აამაღლონ მომთხოვნელობა ავტორებისადმი, აღკვეთონ ლიტერატურული ხალტურა, გამოსცენ მხოლოდ მკითხველებისათვის საჭირო და სასარგებლო წიგნები.

ა. გურგენიძე.

გავაძევოთ სავაჭრო ქსელიდან უღირსი მუშაკები

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მხილებული იყო თბილმრეწვავაჭრობის უნივერმაღში მოკალათებულ კომბინატორთა ჯგუფი, რომელიც ხალიჩებითა და სხვა დეფიციტური საქონლით ამარაგებდა სპეკულანტებს. ამავე მაღაზიაში გამოვლინებულ იქნა დიდი გაფლანგვის კიდევ ერთი ფაქტი: ფეხსაცმლის სექციის გამგეს დ. ჩიქოვანს შემოწმებისას მეტად დიდი დანაკლისი აღმოაჩნდა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გამფლანგველს თავისი ბინძური გეგმების განხორციელებაში ხელს უწყობდნენ რევიზორები დ. ბეჟიტაშვილი, ი. თალაკვაძე, ლ. კობალავა, რომლებიც ზერელედ, დაუდევრად აწყობდნენ სექციაში არსებულ ფასეულობათა აღწერას. გაქნილი კომბინატორი მოხერხებულად სარგებლობდა ამით და აღწერის სიებში ვითომ არსებული საქონლის სახით ნარჩენებით გავსებული ყუთები შეჰქონდა. დ. ჩიქოვანი თითქოს მიჯაჭვული იყო, ფეხს არ იცვლიდა სექციიდან, სამი წლის განმავლობაში შვებულებითაც არ უსარგებლია, რომ სხვა პირზე მატერიალურ ფასეულობათა გადაბარების დროს არ გამომჟღავნებულიყო გაფლანგული თანხა.

სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების სალიკვიდაციოდ სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ, ხოლო ზოგჯერ, პირიქით, სავაჭრო ქსელის საქონლით მომარაგებაში დაშვებული უხეში შეცდომებით ხელს უწყობენ კომბინატორებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს თბილმრეწვავაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგალითად, სამეურნეო საქონლის № 194 მაღაზიაში, რომლის ფართობი 8 კვადრატულ მეტრს შეადგენს, საკონტროლო აღწერისას საქონლის ნაშთი 250 ათას მანეთს აღემატებოდა. დიდი ზენორმატიული ნაშთისა და მცირე ფართობის მიუხედავად, თბილმრეწვავაჭრობის დირექტორის მოადგილის გ. პაიჭაძის, ვაჭრობის განყოფილების გამგის დ. რაფაელოვისა და მთავარი ბუხჰალტრის მოადგილის ს. კინწურაშვილის ნებართვით მაღაზიას ერთდროულად მიეცა 829 ნავთქურა. მაღაზიის გამგე ლ. პოღოსოვი საქონლის რეალიზაციით მიღებული ფულის დიდ ნაწილს საკუთარ ჯიბეში იდებდა. ამ გზით დიდძალი თანხის გაფლანგვა მოახერხა.

მკაცრი კონტროლი არ არის დაწესებული სავაჭრო ქსელში საქონლის შემოზიდვაზე. არის შემთხვევები, როცა მაღაზიებში საქონელი შემოაქვთ თვით მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეხედულებისამებრ. ხშირია უფაქტურო საქონლით ვაჭრობა. საქონლით მომარაგებაში არსებული უსისტემობა, უკონტროლობა სავაჭრო ქსელში მოკალათებულ ნაძირალებს გაფლანგვის ხელსაყრელ პირობებს უქმნის. მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის საკონდიტრო წარმოების გამგე გ. ახვლედიანი „რაციონალურად იყენებდა“ ამ პირობებს. როგორც მიმდინარე წლის იანვარში მომხდარი შემოწმებით გამოირკვა, მას ათეულობით ათასი მანეთი გაუფლანგავს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ახლახან განიხილა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ორგანიზაციებში გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, დედაქალაქის სავაჭრო ქსელის მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. აღინიშნა, რომ თბილმრეწვავაჭრობასა და მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობაში სათანადოდ არ ზრუნავენ სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავების შემთხვევების აღმოსაფხვრელად, ჩავარდნებია კადრების შერჩევის საქმეში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გამფლანგველ-დამტაცებელთა მიმართ ლიბერალური დამოკიდებულებისათვის, სავაჭრო ქსელის საქონლით მომარაგებაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის უპასუხისმგებლოდ, დაუდევრად შესრულებისათვის, სიბეცის გამოჩენისათვის სამუშაოდან მოხსნა თბილმრეწვავაჭრობის რევიზორები ლ. კობალავა, ი. თალაკვაძე, თბილმრეწვავაჭრობის უნივერმაღის მოლარეები ს. კუპრაძე, ნ. მიქაძე, თანამდებობიდან გაათავისუფლა ვაჭრობის სამმართველოს მთავარი რევიზორი ვ. რამიშვილი, თბილმრეწვავაჭრობის მთავარი ბუხჰალტერი ს. საკანდელიძე, თბილმრეწვავაჭრობის ვაჭრობის განყოფილების გამგე დ. რაფაელოვი, ამავე განყოფილების გამგის მოადგილე ა. ბარუჩევი, ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ სხვა მუშაკებსაც.

თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებიდან უნდა გავაძევოთ გამფლანგველები, ბეცი, უპასუხისმგებლო ხელმძღვანელი მუშაკები. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ენერგიულად უნდა იბრძოლონ დედაქალაქის სავაჭრო ქსელში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის.

ა. ხუციშვილი.

ავამაღლოთ კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა კონტროლის როლი და ხარისხი

მ. მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე.

ჩვენს ქვეყანაში დიდი გარდაქმნები ხდება. დასახულია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის ფართო პროგრამა. განხორციელდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, მათს გამგებლობაში გადაეცა საკავშირო დაქვემდებარების ბევრი მსხვილი საწარმო და ორგანიზაცია, რითაც კიდევ უფრო გაიზარდა რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოებისა და უწყებების როლი და პასუხისმგებლობა მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

კომუნისტური მშენებლობის ამ ახალ ეტაპზე ახალი დიდი ამოცანები დაისახა საბჭოთა კონტროლის ორგანოების წინაშე, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, ჩვენი მუშაობის ბევრ უბანზე ჯერ კიდევ ვხედებით ნაკლსა და ჩამორჩენას.

პარტიის XX ყრილობაზე სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნენ იმისათვის, რომ მოწყვეტილი იყვნენ ცხოვრებას, სათანადოდ ვერ ერკვეოდნენ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის კონკრეტულ პირობებში, მჭიდრო კავშირი არ ჰქონდათ მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან, თავიანთ მუშაობაში არ ეყრდნობოდნენ ფართო საზოგადოებრიობას. მსგავსი ნაკლოვანებები იყო ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაობაშიც. პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს საბჭოთა კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებანი. შეიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საბჭოთა კონტროლის კომისიები, განისაზღვრა მათი ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი.

მთავრობის მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით საბჭოთა კონტროლის კომისიამ უნდა განახორციელოს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, შეისწავლოს სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა და მუშაობა, კონტროლი გაუწიოს ეკონომიის რეჟიმის უმკაცრესად განხორციელებას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა სწორად და მიზანშეწონილად ხარჯვას, ებრძოლოს უწყებრიობისა და კუთხურობის ტენდენციების ყოველგვარ გამოვლინებას, რომელიც ეწინააღმდეგება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ მთელი მუშაობა უნდა განახორციელოს საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში. საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობაში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმულნი მშრომელთა მასები. მისი მოღვაწეობის მთავარი შედეგი უნდა იყოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღგილზე გამოსწორება. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამოასწორონ საბჭოთა კონტროლის კომისიის მიერ მხილებული ყოველი ნაკლი დარღვევა თუ ჩამორჩენა, რომელთა შესახებ კომისია სავალდებულო მითითებებს მისცემს თანამდებობის პირებს.

საბჭოთა კონტროლის კომისია, სახელმწიფო კონტროლის ყოფილი სამინისტროსაგან განსხვავებით, მთავრობის მიერ აღჭურვილია დიდი უფლებებით და საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის ფართო საშუალებებით, რომელთა სწორი და დროული გამოყენება ყოველგვარ შესაძლებლობას იძლევა გამოვლინებული ნაკლოვანებების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და დამნაშავეთა საქმიანობის აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიამ გადადგა პირველი ნაბიჯები ახალი, გაზრდილი ამოცანების შესაბამისად. ჩვენს მთავარ მიზანს შეადგენს ბრძოლა მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და უწესრიგობის აღკვეთისათვის. დარღვევებისა და ნაკლოვანებების შენიშვნა შედარებით იოლია და მათი მხოლოდ მხილება საერთო საქმეს საჭირო სარგებლობას ვერ მოუტანს. მთავარია ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა და მათი ლიკვიდაცია. ძირითადია აგრეთვე იმ პირების მხილება, რომლებიც საქმისადმი არაკეთილსინდისიერი, დაუდევარი, ზერელე დამოკიდებულების შედეგად, ან იმის გამო, რომ უნარი არ შესწევთ თავი გაართვან დაკისრებულ მოვალეობას, დარღვევათა და ნაკლოვანებათა მიზეზი ხდებიან. ამ მხრივ მკაცრად მომთხოვნი უნდა ვიყოთ.

განა შეიძლება ლმობიერი იყო თბილისის წყალსადენის საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელების მიმართ. რომლებიც ქალაქის წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის ნაცვლად წლების განმავლობაში ეწეოდნენ თვალთმაქცობას, ხელოვნურად ზრდიდნენ მომხმარებლებისათვის წყლის მიწოდების მაჩვენებლებს. ხშირ შემთხვევაში ზედმეტად ახდევინებდნენ აბონენტებს წყლის გადასახადს. ატყუებდნენ როგორც სახელმწიფოს, ისე მომხმარებლებს, უშვებდნენ წყლის დიდი რაოდენობით უმიზეზო ხარჯვას!

არ შეიძლება შეურიგდე თბილისის წყალსადენის სამმართველოს აპარატის, პირველ რიგში სამმართველოს უფროსის ამხ. შარაშენიძის და მისი მოადგილის ამხ. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობის ისეთ მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულსა და ბოროტმოქმედებას. ეს ამხანაგები საქმეში სიბეცესა და ღოყლაპიობას იჩენდნენ.

განა შეიძლება პასუხი არ მოსთხოვო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს და მის ხელმძღვანელებს ამხ. ხომერიკსა და მოსტოვოის, რომლებმაც, მიუხედავად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს არაერთი მითითებისა, ვერ უზრუნველყვეს საშენი მასალების — აგურის, კრამიტის, ქვის წარმოების გაფართოება მოთხოვნილების შესაბამისად, მათი ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება.

განა დასაშვებია ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და სარეწაო კოოპერაციის ბევრ საწარმოსა და არტელში არსებული მდგომარეობა, როცა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გეგმების შესრულების ნაცვლად თვითნებურად მზადდება ისეთი პროდუქცია, რომელზეც მოთხოვნილება ნაკლებია, მაგრამ რომლის წარმოებით დაინტერესებული არიან ცალკეული „საქმოსნები“. ისინი სხვადასხვა მაქინაციით ამ პროდუქციას რესპუბლიკის გარეთ ასაღებენ პირადი სარგებლობისათვის. ნუთუ ვერ ამჩნევენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების და სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელები, ასევე მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომები, რომ სახალხო მოხმარების საგნების დასამზადებლად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მასალები ბევრ შემთხვევაში არადანიშნულებისამებრ იხარჯება, უფრო სწორად, იფლანგება.

ზოგჯერ ხელმძღვანელი ორგანოები ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელების ნაცვლად თვითონ სჩადიან არასწორ მოქმედებას, ხელს უწყობენ დარღვევებსა და უწესივრობას. საჩხერისა და ბოლნისის რაისაბჭოების აღმასკომებმა თვითნებურად, უკანონოდ ფასებიც კი დაამტკიცეს ისეთ პროდუქციაზე, რომელსაც სახალხო მოხმარებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. სარეწაო კოოპერაციის საბჭომ ზოგიერთ პროდუქციაზე უკანონოდ დაამტკიცა გასაყიდი ფასები, რომლებიც ორჯერ აღემატება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფასებს. სარეწაო კოოპერაციის საბჭო და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო, დადგენილი წესისაგან გადახვევით, ვაჭრობის სამინისტროსაგან ნებართვის მიუღებლად, თვითონ აწყობდნენ საქონლის გაზიდვას რესპუბლიკის გარეთ.

სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის ხელმძღვანელი ორგანო, მათი მრავალრიცხოვანი საკონტროლო-სარევიზიო აპარატი ჯეროვან სიმაღლეზე რომ იდგეს, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-განიავების, ეკონომიის რეჟიმისა და სახელმწიფო კანონების დარღვევის, ბიუროკრატიზმის შემთხვევები. საბჭოთა კონტროლის კომისიის მიერ ამას წინათ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ სამინისტროები და უწყებები არ იცავენ დოკუმენტური რევიზიების ჩატარების ვადებს, რევიზიები ხშირად ფორმალურად უხარისხოდ ეწყობა. არ ხდება დარღვევათა და ნაკლოვანებათა გამოვლინება. ზოგჯერ კი რევიზიის შედეგებს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყვება ხოლმე.

ჯერ კიდევ 1956 წელს საქვაბურობის ხელმძღვანელობამ გაკეთებული რევიზიის შედეგად ჭიათურის განყოფილებას დაავალა მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისაგან აენაზღაურებინა მათ მიერ მიყენებული ზარალი და სამუშაოდან მოეხსნა ისინი აღნიშნული მითითება ჭიათურის განყოფილებამ, 1957 წელს განმეორებითი მითითების მიუხედავად. ან შეუსრულა, სანამ ჩვენი კომისიის მუშაკები 1957 წლის ბოლოს კვლავ არ წააწყდნენ ამ ფაქტს.

საბჭოთა კონტროლის კომისია, რომელსაც წილად ხვდა მაღალი და საპატიო ამოცანა — იზრუნოს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, უნდა იძლეოდეს ყოველგვარი დარღვევისა თუ დამახინჯების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის მაგალითს, იჩენდეს მკაცრ მომთხოვნელობას ყველას მიმართ, განურჩევლად პიროვნებისა და თანამდებობისა, თუ კი მისი მოქმედება ზიანს აყენებს საერთო საქმეს.

საბჭოთა მშენებლობის წლებში შეძენილია კონტროლის განხორციელების დიდი გამოცდილება. ამჯერად კონტროლის ისეთი ფორმები და მეთოდები უნდა გამოვიყენოთ, რომლებიც უფრო სრულყოფილად უპასუხებენ ახალ ამოცანებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შემოწმება მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო კონკრეტული და მიზანდასახულია. საბჭოთა კონტროლის კომისია ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ იმუშავებს საუწყებო-საკონტროლო აპარატის ფორმებითა და მეთოდებით, თუ შემოიფარგლება ცალკეული ორგანოების ფინანსური რეგიზიებით და ცალკეულ პირთა მოქმედების შესწავლით.

კონტროლის კომისიის საქმიანობაში მთავარია სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის კონკრეტული საკითხების შესწავლა, ამ საკითხებზე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და სათანადო ზომების მიღება. კონტროლის კომისია უნდა სწავლობდეს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, სახელმწიფო აპარატის სტრუქტურასა და მუშაობას, ეცნობოდეს და ღრმად სწავლობდეს მათი საქმიანობის ღირსებასა და ნაკლს. მიუთითებდეს ხარვეზებსა და ჩრდილოვან მხარეებზე, იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის.

მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ორგანიზატორულ მუშაობას, რათა ადგილზეე, ადგილობრივი ორგანოების საშუალებით, მათ წინაშე საკითხების დაყენებით, ერთობლივი განხილვით და ზომების მიღებით ლიკვიდირებულ იქნას მხილებული დარღვევები და შეუსაბამობანი. ეს გარემოება განსაკუთრებით ზრდის ჩვენი კომისიის აპარატის ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობას, რამდენადაც მას გარკვეული დამოუკიდებლობა ენიჭება საკითხებისადმი მიდგომასა და გადაწყვეტაში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემოწმება მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო აქტიურად მონაწილეობენ მასში მშრომელთა ფართო მასები, ადგილობრივი აქტივი. შემოწმებაში მასების ფართოდ ჩაბმა საშუალებას გვაძლევს არა მარტო გავზარდოთ შემოწმებული ობიექტების რიცხვი, არამედ, საკითხების გადაწყვეტაში დავეყრდნოთ მშრომელთა აზრსა და დასკვნებს. სწორედ ამ ნიშნით ჩაგატარეთ უკანასკნელ ხანებში შემოწმება სამინისტროებში და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოში. მშრომელთა განცხადებებზე რეაგირების და თბილისში საბინაო ფონდის მოვლა-შენახვის, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ზამთრისათვის მზადყოფნის საკითხებზე. შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო ასობით ამხანაგმა — ძველმა ბოლშევიკებმა, დემობილიზებულმა სამხედრო პირებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებმა და სხვ. შემოწმებამ დიდად შეუწყო ხელი მხილებული ნაკლოვანებების შესახებ საზოგადოებრივი აზრის დარაზმვას, რაც მათი გამოსწორების ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა.

საბჭოთა კონტროლის კომისიის თვითეულმა მუშაკმა ღრმად უნდა შეიგნოს კონტროლის კომისიისათვის დაკისრებული ამოცანების საპატიო და კეთილშობილური მნიშვნელობა, არ დაიშუროს ძალა და ენერგია ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ეს იქნება ჩვენი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. რომელსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს საბჭოთა ხალხი.

სეატოს საბჭოს სესია

ნიუ-იორკი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც მანილიდან იუწყებიან, დღეს სეატოს საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობდა დახურულ დარბაზში.

დილის სხდომაზე განიხილეს სამხედრო კომიტეტის მოხსენება. სააგენტოების ცნობებში აღნიშნულია, რომ ამასთან დაკავშირებით შეეხნენ ინდონეზიის მდგომარეობის საკითხს.

სხდომაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი. სააგენტოების ცნობით, მან მოუწოდა სეატოს წევრებს „კიდევ მეტი ღონისძიება“ განახორციელონ გამალებულ შეიარაღებაში. დალესმა აღნიშნა, რომ იგეგმება სეატოს სამხედრო წვრთნის მთელი სერია, რომლებიც, როგორც მან თქვა, „დამთავრდება დიდი მანევრებით — ყველაზე დიდი მანევრებით, რომელიც კი დღემდე ყოფილა“. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ამტკიცებდა, თითქოს სეატო უზრუნველყოფს არა მარტო ამ ბლოკის მონაწილე ქვეყნების, არამედ აგრეთვე სხვა იმ ქვეყნების „დაცვას“, რომლებიც სეატოში არ შედიან, როგორიც არის, მაგალითად, სამხრეთი ვიეტნამი, კამბოჯა და ლაოსი. იმასთან დაკავშირებით, რომ სეატოს მონაწილენი განიხილავენ ინდონეზიის მდგომარეობის საკითხს, ყურადღებას იქცევს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ მანილაში ჩავიდა მეამბოხეთა ხროვის წარმომადგენელი მაიორი პანტოუ. ცნობაში აღნიშნულია, რომ მანამდე პანტოუ იყო დასავლეთ ევროპაში, სადაც ცდილობდა ფინანსური დახმარება მიეღო თავისი ხროვისათვის და ფილიპინებზე ჩავიდა შეერთებულ შტატებზე გავლით.

თუმცა ცნობებში სესიის მსვლელობის შესახებ განზრახ შენიღბულია, თუ რა ხასიათს ატარებს ინდონეზიის მდგომარეობის საკითხის განხილვა, მაგრამ ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ განხილვა მიმდინარეობს ინდონეზიის საშინაო საქმეებში სეატოს ჩარევის გაძლიერების ცდების ნიშნით. ამ ცდებს განამტკიცებენ სამხედრო დემონსტრაციით. კერძოდ, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი ჰიგინსი წერს, რომ ინდონეზიის მახლობლად „გამზადებული დგას“ ამერიკის სამი სამხედრო ხომალდი.

სესია, როგორც საინფორმაციო სააგენტოების ცნობებიდან ჩანს, მიმდინარეობს ვითარებაში, რომელიც ცხადყოფს კოლონიურ სახელმწიფოთა და სეატოს მონაწილე აზიის ქვეყნებს შორის უთანხმოებას მთელ რიგ საკითხებში. პაკისტანი, ტაილანდი და ფილიპინები კვლავ დაჟინებით მოითხოვენ ეკონომიური დახმარების გადიდებას და კულტურისა და ტექნიკის დარგში საქმიანობის გაფართოებას.

ამერიკის ყველა სააგენტო განსაკუთრებით აღნიშნავს დალესის, პინოსა და ლოიდის დღეს გამართულ შეხვედრას, რომელზეც განიხილეს უმაღლეს დონეზე თათბირის საკითხი, საფრანგეთ-ტუნისის ურთიერთობა, ხმელთაშუა ზღვის რაიონში ახალი სამხედრო ბლოკის შექმნის გეგმები და სხვა საკითხები.

ჰოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას

ვარშავა, 12 მარტი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, დღეს გაიხსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესიის მორიგი სხდომა.

გახსნა რა სხდომა, სეიმის მარშალმა ჩესლავ ვიცეხმა დეპუტატების განსახილველად წარადგინა ტექსტი წერილისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელიც სეიმმა ერთსულოვნად მიიღო.

სეიმის პრეზიდიუმმა, ნათქვამია წერილში, განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 6 ნოემბრის მიმართვა, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 21 დეკემბრის დადგენილება საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომლის დიდმნიშვნელოვანი გამოხატულებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა და დადგენილება, შეესაბამება პოლონელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებსა და მის მხურვალე მისწრაფებებს. პოლონელ ხალხს, რომელმაც უდიდესი ზარალი განიცადა უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, მშვიდობა სწყურია თავისი ქვეყნის შემდგომი აღდგენისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ შეასრულოს ისტორიული მისია — ააშენოს სოციალიზმი. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს პრინციპი მშვიდობიანი თანაარსებობის და თანამშრომლობისა ყველა ხალხთან, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

პოლონეთის მთავრობა თანმიმდევრულად ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ განიარაღებას, ატომგულის იარაღის აკრძალვას, სადავო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ამ წინადადების თანმიმდევრული განხორციელების გზაა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივა იმ საკითხზე, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას უატომო ზონა. აღნიშნული ინიციატივის დეტალები და რეალიზაციის ფორმა გათვალისწინებულია პოლონეთის მთავრობის მემორანდუმში, რომელიც დიდ სახელმწიფოთა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მთავრობებს გაეგზავნა. სეიმის პრეზიდიუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამ წინადადებას თავიდანვე მეგობრული მხარდაჭერით შეხვდა საბჭოთა კავშირის მთავრობა და იმედს გამოთქვამს, რომ მას ჯეროვანი ყურადღებითა და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილავს ყველა სახელმწიფო.

საინფორმაციო ცნობა კორეიდან ჩინელი სახალხო მოხალისეების ნაწილების გაყვანის შესახებ

პეკინი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო ფხენიანიდან იუწყება, დღეს ჩინელ სახალხო მოხალისეთა უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ჩინელ სახალხო მოხალისეთა ყველა ნაწილი მთლიანად გამოყვანილი იქნება კორეიდან სამ ეტაპად 1958 წლის დეკემბრის დამლევამდე. პირველი 6 დივიზიის გამოყვანა დაიწყება 15 მარტს და დამთავრდება მიმდინარე წლის 30 აპრილს.

ისრაელის ქვეგანაყოფები კვლავ აჩრდილავენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზღვარს

დამასკო, 12 მარტი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გუშინ ისრაელის ქვეგანაყოფებმა ამ კვირის განმავლობაში მეორედ ჩაიდინეს პროვოკაციული მოქმედება დემილიტარიზებულ ზონაში და ტყვიამფრქვევების სროლა აუტეხეს სირიელ გლეხებს დანის კოლონიიდან. სირიის მხარემ საჩივარი აღძრა დაზავების ერთობლივ კომისიაში.

ინგლისის თვითმფრინავები აპრმური ბომბებით დასავლეთ გერმანიაში

ბონი, 12 მარტი. (საკდესი). იმოწმებს რა ინფორმირებული წრეების ცნობებს, გაზეთი „ნოიე რაინ-ციტუნგი“ იუწყება, რომ უახლოეს დროში დასავლეთ გერმანიაში იპატრულებენ ინგლისის რეაქტიული ბომბდამშენები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან ატომური ბომბებით.

კალტოეგის სპეციალიზებულ ფაბრიკაში

გვიან ღამემდე გაიხმის მოტორების გუგუნი. ერთი წუთითაც არ წყდება მზა პროდუქციის გამოშვების ნაკადი, ნამდე სხვადასხვა ოპერაციაზე 900 კაცი მუშაობს. აქ, თბილისის პალტოების № 1 სპეციალიზებულ ფაბრიკაში, ყოველდღე იკერება ყველა ასაკის ქალის, მამაკაცის და ბავშვის 1.100 ცალი სხვადასხვა ფასონის ხეზონური პალტო დრაპის, ბობრიკის, ფუღეს, ბუკლეხა და სხვა მასალისაგან. ამ ქსოვილებს ფაბრიკა იღებს მოსკოვის, რიგის, კაუნასის, ერევნის, თბილისის, ესტონეთის, ჩინეთის და სხვა ქალაქებისა და ქვეყნების საფეიქრო საწარმოებიდან.

საწარმო ძირითადად მუშაობს საქართველოს მოდელების სახლის მიერ შექმნილი ფასონებით და უშვებს ლამაზ, მაღალხარისხოვან პროდუქციას.

გემოვნებით, ფაქიზად ასრულებენ სამუშაოს ფაბრიკის № 1 და № 2 საამქროს კოლექტივები, რომლებიც უმთავრესად ქალისა და გოგონების პალტოებს კერავენ. გულმოდგინედ მუშაობენ ჯ. სანიკიძისა და ნ. კერატაშვილის მკერავთა ახალგაზრდული ბრიგადები. მკერავები რ. სოკურაშვილი, ე. სხირტლაძე, ი. ოთარაშვილი, თ. ზეიკიძე, ნ. ხუნწარია, პ. ბოგდანოვა და ბევრი სხვა შესანიშნავად ფლობენ თავიანთ საქმეს, ზოგი მათგანი ორ ოპერაციაზეც მუშაობს. ახლინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ალსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ.

ფაბრიკაში მუშაობს საშუალო სკოლის ასობით კურსდამთავრებული ახალგაზრდა. მარტო გასულ წელს 44 ასეთი ახალგაზრდა მიიღეს. ახლა თავისი პროფესიით ძალიან კმაყოფილია სიმონეთელი გოგონა ინგა ხუჯაძე, მას განზრახული აქვს დაუსწრებლად დაამთავროს უმაღლესი სასწავლებელი. 22 მკერავი სწავლობს მუშა ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლაში, 45 — დაუსწრებელი საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტია, ხოლო 39 — უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებლად ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს.

ფაბრიკაში ხშირად ეწყობა შეხვედრა მომხმარებლებთან, სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, გულისყურით ეკიდებიან მათს შენიშვნებს.

გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და მოწინავე მეთოდების დანერგვის მიზნით ფაბრიკა ხშირად აწყობს საწარმოო ექსკურსიებს მოკავშირე რესპუბლიკებში — კიევის, ოდესის, მოსკოვის, ლენინგრადის და სხვ. სამკერვალო საწარმოებში. წელს ასეთი ექსკურსიები გათვალისწინებულია ლენინგრადში, რიგაში, მოსკოვში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში.

ე. პარმენიშვილი.

ხმის ჩამწერი სგუდია

დიდი მოთხოვნილებაა გრამფირფიტებზე, რომელსაც თბილისში ფირფიტების საამქრო ამზადებს. წინათ ფირფიტებისათვის მატრიცებს მოსკოვიდან და ლენინგრადიდან იღებდნენ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საწარმოო კომბინატმა ამ დღეებში რუსთაველის პროსპექტზე გაზსნა ხმის ჩამწერი სტუდია, რომელიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ახლა არის შესაძლებლობა მომღერლების, სამხატვრო კოლექტივების და სხვ. გამოსვლები აქვე, თბილისში ჩაიწეროს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხმის ჩამწერი ასეთი სტუდიები მუშაობს მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში. ამჟამად ეწყობა აგრეთვე რიგისა და კიევში.

თბილისში დამზადებულ ფირფიტებზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ფირფიტები გაიგზავნება აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში, ქალაქ ორჯონიკიძეში. საბჭოთა არმიის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით ფირფიტები ქართული სიმღერებით საჩუქრად გაეგზავნათ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მებრძოლებს. რამდენიმე გრამჩანაწერი შერჩეულია უცხოეთის რადიომაუწყებლობებისათვის.

სპორტის ამბები

საიუბილეო ჩემპიონატის წინ

სსრ კავშირის პირველობის გათამაშების დაწყებამდე 10 დღე დარჩა. მალე ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილის სხვადასხვა ქალაქებში საზეიმოდ აღიმართება XX ჩემპიონატის ალამი, დაიწყება „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მომზიდველი და მძაფრი ასპარეზობა ან, როგორც იტყვიან, დიდი ფეხბურთი.

მომდინარე სასპორტო სეზონში თბილისში სპორტის მოყვარულები ნახავენ არა მარტო დინამოელთა მატჩებს, არამედ სხვადასხვა გუნდების ბრძოლებსაც. მაგალითად, სტალინის „შახტიორისა“ და მოსკოვის „დინამოს“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და მოსკოვის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდების შეხვედრები გაიმართება თბილისში 29 მარტს, 4 და 9 აპრილს.

პირველ წრეში თბილისის დინამოელები თავიანთ მოედანზე გამართავენ 7 მატჩს: 23 მარტს — მოსკოვის „დინამოსთან“, 30 მარტს — ცსკა მოსკოვთან, 10 აპრილს — მოსკოვის „სპარტაკთან“, 16 აპრილს — მოსკოვის „ტორპედოსთან“, 20 აპრილს — ლენინგრადის „ზენიტთან“, 13 მაისს — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“, 17 ივლისს — კიევის „დინამოსთან“.

მაისის ბოლო რიცხვები, ივნისი და ივლისის პირველი ნახევრის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს საერთაშორისო მატჩებს. საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კალენდრით მაისში, ივნისსა და ივლისში თბილისში გაიმართება 9 საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. მატჩები შედგება 20 მაისს, 3, 8, 13, 17, 25, 30 ივნისს და 5 და 11 ივლისს.

* * *

საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეთა ერთი ჯგუფი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. აქ გადიოდნენ ისინი წვრთნას, აწყობდნენ საერთაშორისო შეხვედრებს; მეორე ჯგუფი — მოსკოვის „დინამო“ და „ლოკომოტივი“, ლენინგრადის „ზენიტი“, სტალინოს „შახტიორი“ და სხვა გუნდები ვარჯიშობენ შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივმა შეკრება ლესელიძეში გაიარა და გუშინ თბილისში დაბრუნდა. საკავშირო პირველობის დაწყებამდე, 23 მარტამდე, დინამოელები წვრთნას თავიანთ სასპორტო ბაზებზე გაივლიან.

საქალაქო პირველობაზე

თბილისის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის დასასრულს უახლოვდება. ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობას ახალგაზრდები წარმოადგენენ, რომლებიც ამყარებენ მაღალ ბრძოლისუნარიანობას, კარგ თამაშს.

გათამაშებული 10 ტურის შემდეგ წინ არის მ. ტოგონიძე, რომელსაც $8^1/_2$ ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ვ. სმისლოვი—მ. ბოტვინიკი

მოსკოვი. 13 მარტი. საბჭოთა გროსმაისტერების ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანში ჭადრაკის მოყვარულთა საერთო ინტერესს იწვევს. ყოველ პარტიას დიდძალი მაყურებელი ესწრება.

დღეს გაიმართა მ-რიგი, მეოთხე პარტია. თეთრებით თამაშობდა მ. ბოტვინიკი.

მსოფლიო ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა გითამაშა გრიუნფელდის დაცვა. მე-10 სვლიდან მან უკეთესი პოზიცია მიიღო. კონტრთამაშის შექმნის მიზნით მ. ბოტვინიკმა მოწინააღმდეგეს პაიკი შეწირა, რაც მიიღო სმისლოვმა. რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ პარტია გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონი ინარჩუნებს მატერიალურ და პოზიციურ უპირატესობას.

14 მარტს მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყობა გადადებული პარტიის დამთავრება.

ახალი რეკორდები ძალოსნობაში

მიმდინარე სასპორტო სეზონში საქართველოს 1958 წლის პირადი პირველობის გათამაშება ძალოსნობაში თელავში მოეწყო. ეს შეჯიბრება, რომელიც 9-დან 11 მარტამდე გრძელდებოდა, ერთ-ერთი მასობრივი და საინტერესო ასპარეზობა იყო.

შეჯიბრების მსვლელობის დღეებში დამყარებულ იქნა საქართველოს 6 ახალი რეკორდი. სიზოგადოება „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ი. ყუბანეიშვილმა (საშუალო წონა) ატაცში აჩვენა 120 კილოგრამი, აკვრაში — 157,5 კილოგრამი და სამეობით — 397,5 კილოგრამი. სამივე ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია. ამავე წონაში სპორტაკელმა რ. გალოიანმა, რომელმაც მეორე სპარიზო ადგილი დაიკავა, აჭიმა 130 კილოგრამი და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. აჭიმვაში კარგი შედეგი აჩვენა აგრეთვე ქვემძიმეწონის ძალოსანმა კ. ებრალიძემ. მან დაძალია 132,5 კილოგრამი, რომელიც ახალი რესპუბლიკური რეკორდია. სარეკორდო შედეგით დაამთავრა ასპარეზობა ქვესაშუალო წონის შტანგისტმა გ. რადიმაშვილმა. მან ატაცში აჩვენა 117,5 კილოგრამი.

წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს თბილისელმა ძალოსნებმა: მჩატე წონაში — რ. დათიკაშვილმა („კოლმეურნე“, სამჭიდში — 287,5 კილოგრამი), ქვემსუბუქ წონაში — ი. წოწოლაშვილმა („ბურევესტნიკი“, 305 კილოგრამი), მსუბუქ წონაში — შ. კაცობაშვილმა („კოლმეურნე“, 327,5 კილოგრამი), ქვესაშუალო წონაში — გ. რადიმაშვილმა („ბურევესტნიკი“, 380 კილოგრამი), საშუალო წონაში — ი. ყუბანეიშვილმა, ქვემძიმე წონაში — კ. ებრალიძემ („დინამო“, 407,5 კილოგრამი), მძიმე წონაში — ი. ქართველიშვილმა („ბურევესტნიკი“, 427,5 კილოგრამი).

ს. წერეთელი — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ს. წერეთელმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა ს. წერეთლისათვის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რედაქტორი პ. რატიანი.

კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ალბანეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეოთხე სესიის შესახებ

ტირანა, 11 მარტი. (საკდესი). ამას წინათ ტირანაში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ალბანეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეოთხე სესიამ.

სრული ურთიერთგაგების ვითარებაში სესიამ განიხილა ღონისძიებანი იმის შესახებ, რომ შემდგომ გაფართოვდეს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მონათესავე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს შორის ცალკეულ პრობლემათა ერთობლივი შემუშავების გზით ორივე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, სპეციალისტთა ურთიერთმივლინების, ინსტიტუტების კონფერენციებზე და სამეცნიერო საბჭოებში მონაწილეობის ინტერესებისათვის.

მხარეებმა შეაჯამეს წინა სესიის გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგები, განიხილეს მორიგი საკითხები, რომლებიც შეეხება სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამის ორგანიზაციათა შორის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და საწარმოო გამოცდილების გაცვლას.

1958 წლის 8 მარტს ხელმოწერილია საბჭოთა კავშირ-ალბანეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეოთხე სესიის ოქმი.

ხელმოწერილი ოქმის თანახმად საბჭოთა ორგანიზაციები ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამის ორგანიზაციებს გადასცემენ ტექნიკურ დოკუმენტაციას მთელი რიგი ობიექტების კაპიტალური მშენებლობის შესახებ, ცალკეული ნაწარმის წარმოების ტექნოლოგიის აღწერას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის ნიმუშებს; საწარმოებსა და ინსტიტუტებში მიიღებენ ალბანელ სპეციალისტებს, რათა დასპეციალდნენ და გაეცნონ საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკურ გამოცდილებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე ალბანეთში მიავლენენ სპეციალისტებს ტექნიკური დახმარების გასაწევად.

მხარეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის წარმატებით ვითარდება დიდი მეგობრობისა და ურთიერთ დაინტერესების საფუძველზე.

გერმანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გუშინ დაუსელდორფში დაიწყო პოლიტიკური პროცესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ხელმძღვანელ მუშაკთა საქმეზე. 1956 წელს ეს საზოგადოებმა აკრძალეს დასავლეთ გერმანიაში, როგორც „ანტიკონსტიტუციური ორგანიზაცია“. ახლა დასავლეთ გერმანიის სასამართლოს წინაშე წარსდგნენ საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარე გ. ბუში, აგრეთვე საზოგადოების შვიდი მუშაკი: ე. შუმახერი, კ. ვალტერი, ფ. შმელტერი, რ. შმიდტი, რ. ლინდე და სხვები. ორმა მათგანმა — კ. ვალტერმა და რ. ლინდემ — 1956 წელს რვა თვე წინასწარ პატიმრობაში გაატარა. განთავისუფლების შემდეგ ისინი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ.

ადნის სააგენტო აღნიშნავს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მუშაკებს ბრალად სდებენ, რომ ისინი „ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ანტიკონსტიტუციურ ორგანიზაციაში“. მათ აგრეთვე ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი ცდილობდნენ „ფედერაციულ რესპუბლიკაში გადაეტანათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილი პირობები“. პროცესის პირველმავე დღემ ცხადყო აშკარა „ბრალდებათა“ სრული უსაფუძვლობა.

საზოგადოების ყოფილმა თავმჯდომარემ გ. ბუშმა განაცხადა, რომ საზოგადოებას არასდროს არ დაუსახავს მიზნად „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივი ურთიერთობა გადაეტანა ფედერაციულ რესპუბლიკაში“. საზოგადოების მიზანი, ხაზგასმით აღნიშნა გ. ბუშმა, ის იყო, რომ დასავლეთ გერმანიაში გაეფრცელებინა სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ და გაეკრიტიკებინა ის დამახინჯებული შეხედულებანი, რომლებიც დასავლეთში არსებობს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ.

გ. ბუშმა მთლიანად უარყო მტკიცება, თითქოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობა ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და ფინანსურ დარგებში ხორციელდებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

ადნის სააგენტო იუწყება, რომ პროცესი გაგრძელდება 10 აპრილამდე.

საშიში ინციდენტი სამხრეთ კაროლინის შტატში

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკდესი). ამერიკის პრესის სააგენტოები იუწყებიან, რომ გუშინ საღამოს სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ფლორენსის მახლობლად ფრიად საშიში ინციდენტი მოხდა. ამერიკის „B-47“ რეაქტიულ ბომბდამშენს, დაბა მარს ბლაფორის თავზე გადაფრენის დროს, მოსწყდა ატომური ბომბი, რომელიც დავარდა რკინიგზელი მუშის გრეგის სახლიდან 90 მეტრზე.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რომელიც იმოწმებს სამხედრო ხელისუფლებს, ბომბი „დამუხტული“ არ ყოფილა, ესე იგი მისი დეტონატორი „შეერთებული არ ყოფილა ხლჩად ნივთიერებასთან, რომელიც ბომბის ცალკე ნაწილშია“. ამიტომ არ მოხდა ატომის აფეთქება, ტრინიტროტოლუოლის აფეთქების გამო დაზიანდა სახლი და ეზოს შენობები.

სამხედრო უწყების წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობენ დაამშვიდონ საზოგადოებრიობა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი შეშფოთებულია სამხრეთ კაროლინაში მომხდარი შემთხვევით. კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჩარლზ პორტერმა (დემოკრატი, ორეგონის შტატი) განაცხადა, რომ ეს შემთხვევა ცხადყოფს მთელ საფრთხეს, რასაც ატომგულის იარაღი შეიცავს და ადასტურებს იმ არგუმენტს, რომ იზრდება ატომური ბომბის შემთხვევითი აფეთქების საშიშროება. წარმომადგენელთა პალატის წევრმა კილდეიმ (ტეხასის შტატი) შეშფოთება გამოთქვა ამ ინციდენტის გამო და ხაზი გაუსვა, თუ მან არ იცოდა, თუ „ბომბები, რასაც ზიდავენ თვითმფრინავები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ფრენენ, შეიცავდნენ როგორც ტრინიტროტოლუოლის დეტონატორს, ისე ატომურ მუხტს“. კილდეიმ სურვილი გამოთქვა „მნიშვნელოვნად მეტი რამ შეიტყოს ამის შესახებ“.

კონგრესის ატომის რადიაციის საკითხთა გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარემ ჰოლიფილდმა მოითხოვა, რომ თავდაცვის სამინისტრომ მის კომისიას წარუდგინოს მოხსენება სამხრეთ კაროლინაში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — საუნჯე (გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის სპექტაკლი), **მუსიკალური კომედიის** — კომბლე, **სომხური დრამის** — როგორ მოვათვინიეროთ ცოლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბაში-აჩუკი (6 ს. ან. № 14), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩეკმბეანი კატა (10 ს. ან. № 89, 91, 94), **თოჯინების ქართული** — დიდი ივანე (11 ს.), ჭკუა და გამოცდილება (1 ს.), **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი** — დიმიტრი ბაშიროვის კონცერტი (როიალი) 9 ს.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — სიცოცხლე ან სიკვდილი, **სპარტაკი** — ისინი ხუთნი იყვნენ, **თბილისი** — დუნაის ქალიშვილი, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ივნისის დღეები, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — სევანელი მეთევზეები, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ჩემი ცხოვრებიდან, **კოლხიდა** — ის თუ არა—ეს, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ცენტრალური კულტურის სახლი** — ბალტის დიდება, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ანოჩკა და ანტონი, **კოლმეურნე** — ეს მოხდა პენკოვოში, **დიდუბე** — ამბავი საბრალო შეყვარებულებისა, **კიროვის სახელობის პარკი** — დედის სიყვარული, **კომუნარების ბაღი** — მეზღვაურის ქალიშვილი, **საბურთალოს საბჭოს კოოპერაციის კულტურის სახლი** — ქარიშხლით შობილნი.

30 მარტს ქალაქ მოსკოვში გაიმართება სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 62-ე ტირაჟი.

ამ ტირაჟში სულ გათამაშდება 51 მილიონ 152 ათას 200 მანეთის 93.500 მოგება, მათ შორის:

22 მოგება, თითო	50.000	მანეთიანი
55 მოგება, თითო	25.000	მანეთიანი
275 მოგება, თითო	10.000	მანეთიანი
880 მოგება, თითო	5.000	მანეთიანი
7.700 მოგება, თითო	1.000	მანეთიანი
84.568 მოგება, თითო	400	მანეთიანი

ყოველწლიურად ეწყობა ამ სესხის 6 ძირითადი და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟი.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

მაიაკოვსკის რაიონული ცენტრის აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან **სილიბისტრო ლუკას-ძე ჭელიძის** გარდაცვალებას.

ფატი, თამარ, ნინო, ძაბული, აკაკი მეუნარგიები, ნ. გარდავა, მ. ჩიქოვანი, ოლია, ვარვარა, ლოლა, ვენერა, ერმილე, ნოე, გერმანე კობახიძეები ოჯახებით იუწყებიან

კონსტანტინე ივანეს-ძე კობახიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-III, 8 ს. რესპუბლიკური ცენტრალური საავადმყოფოს პროზექტურაში, კამოს ქ. № 47, გამოსვენება 15-III, 3½ ს. იქიდანვე.

მეუღლე სერგო, შვილები ნათელა, საშა, სერგო, დები აგრაფენა, ქეთევან, ძმები სეით, მამანტი, მიხეილ, რძალი ლია, სიძე ვ. ფურცელაძე იუწყებიან

რიმა კონსტანტინეს ასულ ნატრიაშვილი-აკიმჩევას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III, 6 ს. სოფ. ქერშავეთში (მაიაკოვსკის რ.).

მეუღლე ვლადიმერ, შვილები დოდო, გივი, სიძე ტ. ცინცაძე; გრიგოლ ქესანაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ნუსა სოლომონის ასულ ორჯონიკიძე-ქესანაშვილის

გარდაცვალებას, პანაშვიდი 14, 15-III, 8 ს. გამოსვენება 16-III, 4 ს. კომბაინის ქ. № 47.

მეუღლე ანეტა წერეთელი, დები მარგარიტა, მელო, ძმა თეიმურაზ მაჭავარიანები; ტასო, გიორგი ერისთავები ოჯახებით იუწყებიან

ივანე ილიას-ძე წერეთლის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-III, 8 ს. გ